საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

მარიამ ცაცანაშვილი

# სახელმწიფო
# და
# რელიგია

თბილისი
2003

*რედაქტორი:*

გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

**მიხეილ ქურდიანი**

*რეცენზენტი:*

გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**როლანდ თოფჩიშვილი**

ცაცანაშვილი მ. სახელმწიფო და რელიგია. მეორე გამოცემა.
-თბილისი: გამომცემლობა „ტექინფორმი", 2003. -100 გვ.

**უველა უფლება დაცულია.**
**ამ წიგნის ან მისი ნაწილის გამრავლება, ასლის გადაღება**
**ან სხვა სახით გავრცელება აკრძალულია გამომცემლისაგან**
**წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.**

© გამომცემლობა „ტექინფორმი", 2001.
© მარიამ ცაცანაშვილი, 2001.
© გამომცემლობა „ტექინფორმი", II გამოცემა, 2003.
© მარიამ ცაცანაშვილი, II გამოცემა, 2003.

წ ი ნ ა თ ქ მ ა 5

კარი I. რა არის რელიგიური თავისუფლება? 9

კარი II. რელიგიური თავისუფლების საკანონმდებლო გარანტიები 13

კარი III. რელიგიური ორგანიზაციები საქართველოში 17

*თავი 1. ისტორიული რელიგიები საქართველოში* *17*

*თავი 2. რელიგიური სიტუაცია საქართველოში 1990 წლის შემდეგ* *22*

კარი IV. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის თანამედროვე მოდელები 29

კარი V. სახელმწიფო და რელიგია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში 49

კარი VI. რელიგიური თავისუფლების შეფასება (მომხრეები და მოწინააღმდეგეები) 57

კარი VII. რელიგიური თავისუფლების პოლიტიკური და სამართლებრივი მოდელი საქართველოში 67

**РЕЗЮМЕ** 81

**SUMMARY** 85

დამოწმებული ლიტერატურა 89

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის (14 ოქტომბერი 2002 წ.) 91

# წ ი ნ ა თ ქ მ ა

*„ყოველი სამეფო, თავის თავის წინააღმდეგ*
*დაყოფილი, გაუდაბურდება, და ყოველი*
*ქალაქი ან სახლი, რომელიც დაიყოფა*
*თავის თავის წინააღმდეგ, ვერ გაძლებს“*
(მათ. 12,25)

ამ სიტყვებით აფრთხილებს იესო ფარისევლებს ღა ეს გაფრთხილება სერიოზული ყურადღების ღირსია დღეს საქართველოში, სადაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის გამო უთანხმოება უფრო მეტია, ვიდრე თანხმობა. უთანხმოების საფუძველი კი კანონის წინაშე რელიგიური ორგანიზაციების თანასწორობის პრინციპი გახდა, რომლის დეკლარირება იაკობინელებს და ბოლშევიკებს ეკუთვნით. სწორედ ეს უკანასკნელნი ათანასწორებდნენ ადამიანებს ერთმანეთთან და არა კანონთან. ამით ძირეულად არღვევდნენ მათ მიერვე აღიარებულ პრინციპს.

ის, რასაც დღეს იურიდიული თანასწორობის პრინციპს უწოდებენ, სინამდვილეში ბიბლიიდან მომდინარეობს, რომლის მორალური იმპერატივი „თვალი თვალისა წილ“ და „კბილი კბილისა წილ“ ათეისტთა მიერ მხოლოდ სისასტიკისა და სამაგიეროს მიზღვის თვალსაწიერიდანაა დანახული. სინამდვილეში, სწორედ ეს იმპერატივი ადგენდა განსხვავებული სტატუსის მქონე ადამიანთათვის თანაზომიერი სასჯელის მიზღვის პრინციპს.

ქრისტიანული სამყაროს თითქმის ყველა სახელმწიფომ დაინახა კანონის წინაშე თანასწორობის თანასწორუფლებიანობასთან გათანაბრებით გამოწვეული შედეგების საშიშროება. „როგორ შეძლებს ვინმე, შევიდეს ძლიერის სახლში და გაიტაცოს მისი ნივთები, თუ ჯერ ძლიერს არ გათოკავს და შემდეგ გაძარცვავს მის სახლს“ (მათ. 12,29) — ეუბნება იესო ფარისევლებს და ამით საკუთარი სახლის, საკუთარი სახელმწიფოს სულიერი განძარცვის შედეგებზე გვაფრთხილებს.

არავისთვის უცხო არა არის, რომ ზოგიერთი რელიგიური მოძღვრება საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ მორალსა და სა-

ხელმწიფო უსაფრთხოებას, ხოლო ზოგიერთი რელიგია ამა თუ იმ ხალხის ისტორიისა და კულტურის ნაწილია. ამიტომ, ხელისუფლება ვალდებულია შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს, რაც განსხვავებული უფლებების მინიჭებაშიც ვლინდება.

ამ საკითხებზე მუშაობა ჯერ კიდევ 1995 წლიდან დავიწყე, როცა დღის წესრიგში დადგა რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან სახელმწიფოს განსაკუთრებული ურთიერთობის სამართლებრივი დაფიქსირების მექანიზმების ძებნა იოლი არ ყოფილა. დემოკრატიისა და რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო პრინციპის ფონზე საკითხი მეტად მწვავე ფორმებს იღებდა. ვფიქრობდით კანონის ფორმებზეც, რადგან ნორმატიული აქტების სისტემაში ახალი ფორმის შემოტანა არა მარტო საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის მომწიფებას საჭიროებდა, არამედ თეორიულ შესწავლასა და გაანალიზებასაც ითხოვდა.

რამდენიმე ვარიანტი შემუშავდა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახურში მუშაობის დროს. პირველი თეორიული დასაბუთება იმისა, რომ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა კონკორდატის მსგავსი აქტით უნდა მოწესრიგებულიყო 1998 წლის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში დავაფიქსირე, მაგრამ გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრად ჩემმა არჩევამ მთლიანად განაპირობა ის ვალდებულება, რომ წლების ნაფიქრი და ნაშრომი ქაღალდზე გადამეტანა.

ავტორის მიზანი არ ყოფილა სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის პრობლემათა გლობალური კვლევა. იგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსისა და სახელმწიფოსა და ეკლესიას, როგორც ურთიერთგამიჯნულ სუბიექტებს, შორის კორპორაციული ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემების გამო შეიქმნა.

კონსტიტუციური შეთანხმება სრულიად ახალია ქართულ იურისპრუდენციაში, ამიტომ რელიგიური თავისუფლების თეორიული ანალიზი და სამართლებრივი გარანტიების საერთაშო-

რისო მოდელების განხილვა მნიშვნელოვანწილად, ამ აქტის შექმნის გარკვეული დასაბუთებაცაა.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეჭვი არ არის, რომ მომხრეებთან ერთად განსხვავებული და დაპირისპირებული აზრის მქონენიც გამოჩნდებიან. ეს უდავოდ ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი სისტემის შემდგომ სრულყოფას. ავტორი კი ისევ იესოს შეგონებით ხელმძღვანელობს: „ვინც სიტყვას იტყვის კაცის ძის წინააღმდეგ, მას მიეტევება; მაგრამ თუ ვინმე იტყვის სული წმინდის წინააღმდეგ, მას არ მიეტევება არც ამ წუთისოფლად, არც მომავალში“ (მათ. 12,32).

## კარი I.

# რა არის რელიგიური თავისუფლება?

რელიგიური თავისუფლების აზრის განვითარების იდეოლოგიურ წყაროს XVIII ს.-ის ევროპის ფილოსოფოსების ჯონ ლოკისა და ჟან-ჟაკ რუსოს შრომები და რაციონალიზმის იდეები წარმოადგენენ. მაგრამ უფრო ადრე, 1638 წელს, ბაპტისტმა როჯერ უილიამემ რონდ აილენდის კოლონია დააარსა და ქცევის წესებში სინდისის თავისუფლების პრინციპი დაამკვიდრა. ამით ის რელიგიური თავისუფლების პირველი დამცველი გახდა და საფუძველი ჩაუყარა რელიგიური თავისუფლების ამერიკულ ტრადიციას. „კონსტიტუციის მამები", როცა ახალ სახელმწიფოს უყრიდნენ საფუძველს, ამ სფეროში ლიბერალურ იდეოლოგიას ამჯობინებდნენ. ამიტომაც აშშ-ის 1791 წლის კონსტიტუცია პირველი იურიდიული აქტი გახდა, რომელმაც რელიგიური თავისუფლების კონცეფციას სამართლებრივი დატვირთვა შესძინა. აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორების თანახმად, კონგრესმა არ უნდა გამოსცეს კანონი, რომელიც გაითვალისწინებს რელიგიურობის დადგენას, თავისუფალი აღმსარებლობის აკრძალვას, სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების, ხალხის მშვიდობიანი თავშეყრისა და მთავრობისადმი საჩივართა დაკმაყოფილების პეტიციის მიმართვის უფლებების შეზღუდვებს.

რელიგიური თავისუფლების კონცეფციამ XIX საუკუნის გერმანელ და იტალიელ მეცნიერ იურისტთა მიერ დამუშავებულ სუბიექტურ უფლებათა თეორიაში ჰპოვა გაგრძელება. ამ თეორიის მიხედვით, რელიგიური თავისუფლება „საზოგადოებრივ-სუბიექტური უფლებაა", ანუ იგი არა მარტო ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური უფლებაცაა.

რელიგიური თავისუფლება როგორც საზოგადოებრივ-სუბიექტური უფლება: 1. იცავს პირის ხელშეუხებლობას; 2. აღჭურავს მოქალაქეებს კონკრეტული უფლებებით, სწამდეთ რომელიმე რელიგია, გაერთიანდნენ რწმენის და ერთობლივი აღმსარებლობის

მიზნით; 3. სახელმწიფოსგან ითხოვს თანამშრომლობას ან ნებართვას გარკვეული რელიგიური მომსახურებისათვის (მაგ., ციხეებსა და სავადმყოფოებში მყოფი ადამიანებისათვის და ა. შ.).

რელიგიურ თავისუფლებათა თანამედროვე კონცეფცია გულისხმობს „erga omnes" უფლებას არა მარტო სახელმწიფოსთან მიმართებაში, არამედ თითოეულ ადამიანთან მიმართებაშიც. ამ თვალსაზრისით, ეს უფლება საზოგადოებრივი უფლებაა, რადგან რელიგიური თავისუფლებიდან წარმოშობილი ურთიერთობები წარმოადგენს არა მარტო ცალკეულ პირებს შორის ურთიერთობებს, არამედ სახელმწიფოსა და იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთობებს. ამასთან, სახელმწიფო ამ უფლების განხორციელებას საზოგადოებისათვის სასარგებლოდ მიიჩნევს და მისი დაცვის კონსტიტუციურ და საკანონმდებლო გარანტიებს ქმნის. დაბოლოს, ეს ისეთი უფლებაა, რომელიც არა მარტო ქვეყნის კანონმდებლობითაა დაცული, არამედ აღიარებულია საერთაშორისო დეკლარაციებითა და ხელშეკრულებებით. 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია რატიფიცირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ, რომლის მე-18 მუხლით შეიქმნა კონსტიტუციური მოდელი „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების შესახებ". მართალია, კონსტიტუციონალისტები ვერ თანხმდებიან: ეს სამწევრიანი სისტემა სამი სხვადასხვა ასპექტის მქონე ერთიანი გლობალური უფლებაა თუ სამი დამოუკიდებელი უფლება, მაგრამ ეს მოდელი საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ უფლებათა რანგში რომ უნდა იქნეს განხილული, ნამდვილად უდავოა.

50-იანი წლებიდან დაწყებული 70-იანი წლების ბოლომდე ევროპის მეცნიერთა უმრავლესობა დეკლარაციის აღნიშნულ მოდელს დამოუკიდებელ უფლებათა რანგში განიხილავდა, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში განვითარდა აზრი მათ შორის მჭიდრო კავშირის თაობაზე.

სინდისის თავისუფლება ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე ცნებებისა და იდეების ერთობლიობას გულისხმობს. იგი ძირითადად მორალურ ღირებულებებს აყალიბებს, ხოლო რელიგიის თავისუფლება არა მარტო პირად შეხედულებებს გულისხმობს,

არამედ რწმენასა და მრწამსს. რწმენათა ერთობლიობა კი ქმნის მორალურ ღირებულებებს, მორალურ ორიენტირებს და, ამდენად, მყარდება კავშირი სინდისის თავისუფლებასა და რელიგიურ თავისუფლებას შორის.

რელიგიურ თავისუფლებას ორი ასპექტი აქვს: ერთი მხრივ, იგი იცავს რწმენის (თეიზმი) უფლებას, ხოლო მეორე მხრივ – მათ უფლებას, ვისაც არ სწამს (ათეიზმი). ამ კონტექსტში კარგად ჩანს აზრის თავისუფლების მნიშვნელობა.

თეიზმისა და ათეიზმის დაცვა ეროვნულ კანონმდებლობაში ორ პრინციპს ეყრდნობა: „კანონისადმი თანასწორობასა" და „დისკრიმინაციის არარსებობას". რელიგიური თავისუფლებისადმი ამგვარი დამოკიდებულებით სახელმწიფო მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების დაცვას უზრუნველყოფს, ე.ი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ კოლექტიურ უფლებაზე.

ამასთან, თავს იჩენს პრაქტიკული სირთულე, რადგან ყველა რელიგიური ჯგუფი ისტორიული, სოციალური, ეთნიკური თუ კულტურული მიზეზებით ერთ სიბრტყეში არ შეიძლება იქნეს განხილული. ამ სირთულის წინაშე, პრაქტიკულად, თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფო დადგა, რადგან ამ დროს დისკრიმინაციის არარსებობის პრინციპმა უნდა იმუშაოს. თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ერთ მომენტს უნდა გაესვას ხაზი – კანონისადმი თანასწორობა არ ნიშნავს გათანაბრებას უფლებებში. ცხადია, რელიგიური თავისუფლების ცნების შინაარსი ყველა კონკრეტულ სახელმწიფოში ისტორიული წარსულის გავლენის ქვეშ გაიაზრება. თუ ასეთი ისტორიული პირობები გათვალისწინებული არ იქნება, ეს გამოიწვევს სოციალური ფსიქოლოგიის დესტრუქციას, შეამცირებს წარსულის მნიშვნელობას, რაც შეიძლება პრიორიტეტული იყოს აწმყოსათვის. აქ ლოგიკა მარტივია – წარსული არ არსებობს, ამიტომ ყველაფერს, რაც ისტორიაშია წარმოშობილი, ობიექტური კი არა, სუბიექტური აზრი გააჩნია. როცა კონკრეტულ მომენტში ხალხის ისტორიულ ქმედებათა შევიწროვება ხდება ცალკეული ჯგუფების ან ინდივიდების ქმედებების სასარგებლოდ, მაშინ ხალხი, როგორც მთლიანობა, როგორც სუბიექტი, გადაიქცევა მოსახლეობად. როდესაც ხალხს ასეთ

ტრადიციას გამოაცლიან, ისტორია გამქრალად ცხადდება და, ამასთან, ქრება ხალხის სული ზოგადად. საზოგადოების განვითარებაში არ უნდა დაიკარგოს ისტორიული პარადიგმები. წარსულიდან მომავალში საზოგადოების გადასვლა განვითარების ბუნებრივი პროცესია, სადაც, თუ დაიკარგა ტრადიციული ნიშნები, საზოგადოების წევრი თავისი ლოკუსის ბრმა სუბიექტად იქცევა.

## კარი II.

# რელიგიური თავისუფლების საკანონმდებლო გარანტიები

რელიგიური თავისუფლების ცნება ყველა კონკრეტულ სახელმწიფოში ისტორიული წარსულის გავლენით ყალიბდება და, უმეტეს შემთხვევაში, განიხილება როგორც რელიგიური უფლების შეზღუდვის ან აკრძალვის დაუშვებლობა, რასაც ამა თუ იმ სახელმწიფოში ადგილი ჰქონდა წარსულში. მაგალითად, პოსტკომუნისტური ქვეყნების თითქმის ყველა კონსტიტუციამ, ალბანეთის გარდა, ფორმალურად აღიარა რელიგიური თავისუფლების უფლება. თუმცა, პრაქტიკაში ამ უფლების რეალიზება გაძნელდა ან შეუძლებელი გახდა. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ რელიგიური თავისუფლების ფორმალური ცნება სახელმწიფოსაგან გარანტირებულ ეფექტური დაცვის მექანიზმებსაც უნდა მოიცავდეს.

არსებობს საერთო სტანდარტი, რომლის მიხედვით ქვეყნის კანონმდებლობამ, რელიგიური თავისუფლების ფორმალურ აღიარებასთან ერთად, იგი უნდა განიხილოს როგორც სუბიექტური უფლება, საზოგადოებრივი უფლება, კონსტიტუციური და ძირითადი უფლება, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს თითოეული ადამიანისა და რელიგიური ჯგუფის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

კანონმდებლობა რელიგიური თავისუფლების სფეროში შემდეგ გარანტიებს უნდა აყალიბებდეს:

1. როგორც ინდივიდუალური უფლება, რელიგიური თავისუფლება ცალკეული პირისათვის უნდა უზრუნველყოფდეს:

ა) სწამდეს ან არ სწამდეს რომელიმე რელიგია ან აღმსარებლობა;

ბ) ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რელიგიური განათლება;

გ) მიიღოს ან არ მიიღოს მონაწილეობა რაიმე ფორმის აღსარებაში, პირდაპირ ან არაპირდაპირ გაამჟღავნოს თავისი რწმენა, ჰქონდეს თავისუფალი დაშვების უფლება აღმსარებლობის ადგილებში;

დ) არ მისცეს არანაირი ფიცი თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ;

ე) ღიად გამოაცხადოს ან არ გამოაცხადოს თავისი რელიგიური მრწამსი;

ვ) არ გაიაროს სამხედრო სამსახური, თუ ეს მის რწმენას ეწინააღმდეგება, მაგრამ მის ნაცვლად აირჩიოს ალტერნატიული სამსახური.

2. როგორც კოლექტიური უფლება, რელიგიური თავისუფლება უნდა უზრუნველყოფდეს:

ა) რელიგიურ ორგანიზაციებად გაერთიანებისა და სახელმწიფოში კანონიერი სტატუსის მინიჭების უფლებას;

ბ) რელიგიურ სამსახურებსა და ღინისძიებებში თავისუფალი მონაწილეობის უფლებას;

გ) თვითმმართველობის პრინციპებზე რელიგიური ორგანიზაციების შექმნასა და სხვა ნაციონალურ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავისუფალი ურთიერთობის უფლებას;

დ) რელიგიური საქმიანობისათვის საკუთარი ლიტერატურის, აუდიოვიზუალური მასალისა და სხვა საგნების წარმოებას, შეძენას, იმპორტისა და ექსპორტის უფლებას;

ე) კერძო სასწავლებლების შექმნისა და მათი მართვის უფლებას, აგრეთვე საგანმანათლებლო, საქველმოქმედო თუ სოციალური საქმიანობის უფლებას.

რელიგიური თავისუფლების განხორციელების სტანდარტები ნათლად ჩანს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 18., სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 18.3., ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა 1950 წლის ევროპის კონვენციის 9.2. მუხლებში. ეს აქტები

ადგენენ პრინციპებს, რომელსაც სახელმწიფოები უნდა დაეყრდნონ ეროვნული კანონმდებლობის ფორმირებისას. ესენია:

ა) სხვა პირების ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვა;

ბ) კანონმდებლობით იმ შეზღუდვების დაწესება, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის დასაცავად.

ეს პრინციპები გამოიყენება რელიგიური უფლების, როგორც კოლექტიური უფლების, რეალიზაციის პირობებში. ამიტომ, ყოველი სახელმწიფო, რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ფორმირებისას, ამ პრინციპების გათვალისწინებით, შეიძლება ზღუდავდეს მას როგორც კოლექტიურ უფლებას და არა როგორც ინდივიდუალურ უფლებას. ე.ი. რელიგიური თავისუფლება, როგორც ინდივიდუალური უფლება, ყველა ადამიანის კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაა, ხოლო როგორც კოლექტიური უფლება, მისი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება გახდეს განსხვავებული უფლებების დადგენის საფუძველი.

## რელიგიური ორგანიზაციების გავრცელება საქართველოს სალექციო რეგიონების მიხედვით


ეკლესიის მოწმეები
ბაპტისტები
ორგიულაანთელები
მეთვრამეტე ტრადიციონალისტები საზოგადოება
მორმონები
ადვენტისტები
ბუდისტები
ევანგელისტები
ღვთისმეტყველი სიტყვა
ეკლესიის მოწმეები
ეკლესიის
ეკლესიის
ეკლესიის

## კარი III.

# რელიგიური ორგანიზაციები საქართველოში

### თავი 1. ისტორიული რელიგიები საქართველოში

საქართველოში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ მართლმადიდებლები და სხვა ქრისტიანული აღმსარებლობის მიმდევრები (მონოფიზიტები, კათოლიკეები, ლუთერანები), აგრეთვე იუდეველები და მუსლიმები (სუნიტები, შიიტები, სუფიები). მათ შორის რელიგიურ ნიადაგზე არასოდეს ყოფილა შუღლი და მტრობა. ამის საფუძველს მართლმადიდებლობის, როგორც ქვეყნის წარმმართველი რელიგიის, სხვა რელიგიებთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და შემწყნარებლური დამოკიდებულების პოლიტიკა წარმოადგენდა. ამან თავისი ასახვა სამართალშიც პოვა. ვახტანგ VI-ის სამართალი, რომელიც მოსეს სჯულისა და სომხური სამართლის ნორმებსაც შეიცავს, შესაბამისი ეთნო-რელიგიური ჯგუფების განსახლების რეგიონებში მოქმედებდა.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის შესწავლით მრავალი მეცნიერი დაინტერესდა. რომ აღარაფერი ვთქვათ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილის, გ. მელიქიშვილის, ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევებზე, გიულდენშტედტის, კ. კოხისა და სპენსერის, ჟ. შარდენის ცნობებზე საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გ. ბოჭორიძის, გ. მანჯგალაძის, შ. ლომსაძის, გ. მაისურაძის, მ. პაპაშვილის, რ. თოფჩიშვილის ნაშრომები საინტერესო სტატისტიკურ და ანალიტიკურ მასალას შეიცავენ საქართველოში რელიგიური სიტუაციის მიმოხილვის თვალსაზრისით.

ამ გამოკვლევებზე დაყრდნობით, XIX ს.-ის მეორე ნახევარში საქართველოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის სტატისტიკა შემდეგ სურათს იძლევა:

1886 წ.-თვის თბილისის გუბერნიაში მოსახლეობის 61,35% მართლმადიდებელი იყო, დასავლეთ საქართველოში 86,61%. მონოფიზიტები თბილისის გუბერნიაში 22,25%-ს, ქუთაისის გუბერნიაში სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევრები 0,83%-ს შეადგენდნენ, სომხურ-კათოლიკური სარწმუნოების მოსახლეობა აღმოსავლეთ საქართველოში 2% იყო, დასავლეთ საქართველოში – 0,97%. უმნიშვნელო იყო რომაულ-კათოლიკური სარწმუნოების შემადგენლობა. თბილისის გუბერნიაში იგი შეადგენდა 0,46%-ს, ქუთაისის გუბერნიაში – 0,07%-ს. იგივე შეიძლება ითქვას ლუთერანებზე (შესაბამისად 0,63% და 0,12%). სუნიტები თბილისის გუბერნიაში 8,43%-ს, ხოლო შიიტები 2,41%-ს შეადგენდნენ. ქუთაისის გუბერნიაში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, 10,5% და 0,13% იყო. იუდეველები ქუთაისის გუბერნიაში 0,76% იყვნენ, თბილისის გუბერნიაში – 0,94%. [1.]

მომდევნო პერიოდში საქართველოში რელიგიურ-კონფესიური სტატისტიკა აღარ არსებობს, რადგან ამ ნიშნით საბჭოთა ხელისუფლება მონაცემებს არ აფიქსირებდა. თუმცა, მეცნიერები საქართველოს მოსახლეობის რელიგიურ-ეთნიკური შემადგენლობის ზოგად სურათს მაინც გვთავაზობენ. XX ს.-ის 40-იან წლებში საქართველოდან გაასახლეს ქართველი მაჰმადიანები. ამავე პერიოდში მონოფიზიტების მნიშვნელოვანი ნაწილი მართლმადიდებლობას დაუბრუნდა. სომხურ-კათოლიკურ ეკლესიაზე იძულებით მიწერილი კათოლიკეები კვლავ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მრევლი გახდა.

მას შემდეგ, რაც რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის (308-337 წწ.) მიერ ქართლში გამოგზავნილმა იოანე ეპისკოპოსმა ორ მღვდელსა და სამ დიაკვანთან ერთად მცხეთის ეკლესია აკურთხა და მტკვარში ნათლისღების რიტუალი შეასრულა, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ეს ფაქტი ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია ქვეყნის კონსოლიდაციის

საფუძვლად. ქართული ენა საღვთისმეტყველო ენა გახდა და მთლიანად გააერთიანა ქართველური ტომები, რომელთაც სალაპარაკო ენა სხვა ჰქონდათ (მეგრული, სვანური, დვალური). ასე რომ, მართლმადიდებლობა თითქმის უკვე 17 საუკუნეა ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებას წარმოადგენს, ტრადიციულად კი ქრისტიანობისათვის ბრძოლა ქართული სახელმწიფოს გადარჩენისათვის ბრძოლას ნიშნავდა.

ძვ. წ. VI საუკუნეში საქართველოში ებრაელები მოვიდნენ, რომელთაც თავიანთი სარწმუნოება — იუდაიზმი დღემდე შეინარჩუნეს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით იუდეველთა განსახლების გეოგრაფია იყო მცხეთა, ატენი, მძორეთი, ცხინვალი, თამარაშენი, ალი, სურამი, ჩიხორი, საჩხერე, ქუთაისი, ხოტევი, ოზურგეთი, გოკია, კარალეთი, ახალციხე. XIX საუკუნეში მათი ძირითადი კონცენტრაცია თბილისში მოხდა.

ებრაელთა მეორე ტალღა ახ. წ. II საუკუნეში მოვიდა საქართველოში. მართალია, მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ ებრაული ენა და არამეულად მეტყველებდნენ, მაგრამ შენარჩუნებული ჰქონდათ მოსეს სჯული. ებრაელთა მე-3 ტალღამ XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, რუსეთიდან შემოაღწია საქართველოში. ესენი უკვე გერმანულენოვანი, ანუ იდიშზე მეტყველი ებრაელები იყვნენ, რომლებიც კონფესიურადაც განსხვავდებოდნენ წინა ტალღების ებრაელთაგან და ე.წ. თალმუდურ (რაბინულ) იუდაიზმს აღიარებდნენ.

მონოფიზიტები, ანუ იმ კონფესიის წარმომადგენლები, რომელსაც ჩვენი მეზობელი სომხები მისდევენ, ხან მცირე, ხან საკმაო რაოდენობით, ამ აღმსარებლობის გაჩენის დროიდანვე ცხოვრობდნენ საქართველოში, განსაკუთრებით სომხეთის სასაზღვრო ზოლში.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართველ გრიგორიანელთა კონფესიური ჯგუფები გაჩნდა შიდა ქართლში, კახეთში.

მონოფიზიტობის სხვა კონფესიის — ნესტორიანელობის მიმდევარი არამეელების (ე.წ. აისორების) კონფესიური ჯგუფებიც

სხვადასხვა დროს, საუკუნეთა განმავლობაში სახლდებოდნენ ხოლმე საქართველოში.

კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება საქართველოში XIII ს.-დან დაიწყო. ისტორიულად, რელიგიის შეცვლა ეროვნების შეცვლასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ, თუ გრიგორიანელ ქართველებს სომხებს უწოდებდნენ, კათოლიკე ქართველებს ფრანგებად იხსენიებდნენ (ისევე, როგორც მუსლიმურ რელიგიაზე გადასულებს თურქებად ან თათრებად მოიხსენიებდნენ).

ისლამის გავრცელება საქართველოში არაბების დროს დაიწყო. თბილისში თითქმის ყოველთვის იყო მაჰმადიანი მოსახლეობა. XVII ს.-დან ეს რელიგია აღიარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდმა ნაწილმა. XIX ს.-ის თბილისში მუსლიმებს ჰქონდათ როგორც შიიტური, ისე სუნიტური მეჩეთები. რაც შეეხება საქართველოს ისტორიული პროვინციის — აღმოსავლეთ კახეთის (საინგილო) მაჰმადიან ქართველებს, XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით, სულ ოთხ სოფელში იყვნენ მართლმადიდებლები, რომლებმაც ეროვნების გრაფაში ქართველი ჩაიწერეს. დანარჩენ სოფლებში კი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, რომლებსაც ეროვნების გრაფაში „ინგილო" ეწერათ.

ამჟამად, სხვადასხვა კონფესიის მუსლიმების რაოდენობა საქართველოში 300.000-ს აღემატება, ძირითადად ისინი აზერბაიჯანელები არიან, 25 ათასამდე მუსლიმი აფხაზეთში მკვიდრობს.

XIX ს.-დან საქართველოში, ძირითადად რუსეთის გზით, აღწევენ როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში ჩასახული სექტების, ასევე პროტესტანტული კონფესიის წარმომადგენლები.

XIX ს.-ში ჩნდებიან ლუთერანები (გერმანელები), ძირითადად, შვაბები. მათი პირველი ჯგუფი თბილისში 1871 წლის 21 სექტემბერს ჩამოსულა. 1819 წლის ბოლოს საქართველოში ექვსი გერმანული კოლონია იყო. ამას 1884 წელს სოხუმის მახლობლად ორი კოლონიაც დაემატა.

იმავე საუკუნიდან საქართველოში გამოჩნდნენ მოლოკნები და დუხობორები. მოლოკნები ძირითადად ბორჩალოს, თბილისის

და სიღნაღის მაზრებში დამკვიდრნენ, დუხობორები კი ჯავახეთში და, გარკვეულწილად, ბორჩალოშიც.

XX ს.-დან რუსეთიდან გადმოსახლებებს უკავშირებენ ბაპტისტებისა და სუბოტნიკების გამოჩენას თბილისში (მათ შესახებ, დამატებით, მომდევნო პარაგრაფში ვისაუბრებთ).

ქრისტიანობის მიღებამდე საქართველოში წარმართული, კერპთაყვანისმცემლური რელიგიები არსებობდა, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო საოჯახო, საგვარეულო, საუბნო, სასოფლო კულტები. ასეთ პირობებში გარეშე ძალები სხვა რელიგიების თავზე მოხვევით ცდილობდნენ სახელმწიფოზე ზემოქმედებას. ქართულმა საისტორიო წყაროებმა და აგიოგრაფიულმა ლიტერატურულმა ძეგლებმა ამის არაერთი ფაქტი შემოგვინახეს. სარწმუნოებრივი განდგომა ზედა ფენებიდან იწყებოდა და ცდილობდნენ უცხო რელიგიები დაბალი ფენებისთვის მოეხვიათ თავზე. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამ ეს პროცესი შედარებით მართვადი გახადა. რელიგია სახელმწიფო იდეოლოგიად იქცა, ერთიანმა კულტმა გააერთიანა სხვადასხვა რეგიონები, განამტკიცა ცენტრალური ხელისუფლება. 1852 წელს არქიმანდრიტი თეოფანე გაბუნია აღნიშნავდა: „ქრისტიანობა არს გინა სჯული შემკვრელი ერისა და შემაერთებელი საზოგადოებისა".[2.] სხვა რელიგიებთან მართლმადიდებლობის დამოკიდებულების ნათელ მაგალითს წარმოადგენს ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის შეფასება, რომ საქართველოში უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. ამასვე ადასტურებს გიულდენშტედტი, რომლის აზრით, მმართველობა და სამღვდელოება ამჟღავნებს სრულ რჯულშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკეების, მაჰმადიანების და ებრაელი მოსახლეობის მიმართ, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას და არ სდევნიან მათ.

## თავი 2. რელიგიური სიტუაცია საქართველოში 1990 წლის შემდეგ

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველო ნაირგვარი რელიგიური ორგანიზაციების (სექტების) დაინტერესების სფეროში მოექცა. ასეთი პროცესი კომუნისტური ბატონობის პერიოდში ეთნიკურ-კონფესიური მრავალფეროვნების შეგნებული იგნორირებისა და სახელმწიფოს პოლიტიკაში ათეიზმის დამკვიდრების ლოგიკური შედეგია.

დღესდღეობით უცნობია საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციათა ზუსტი რაოდენობა, მოქმედების არეალი, გავლენის სფეროები, საქმიანობის ფორმები; გაურკვეველია მათი უფლებამოვალეობანი და კავშირი სახელმწიფოსთან.

საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე (აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონების ჩათვლით) გავრცელებულია რელიგიური ორგანიზაცია „იეღოვას მოწმეები". ეს ორგანიზაცია ცალკეულ რეგიონებში 1987-88 წლებში გამოჩნდა და, უკვე დღეისათვის, საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა.

მათი იდეოლოგია ძირითადად მიმართულია სახელმწიფო ინსტიტუტების უარყოფისაკენ: არ მონაწილეობენ ხელისუფლების ორგანოთა არჩევნებში, თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს. სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად „იეღოვას მოწმეები" უარყოფენ აგრეთვე ეკლესიას და მის ინსტიტუტებსაც. გაერთიანება მკაცრი სუბორდინაციით გამოირჩევა და ხელმძღვანელ პირთა შესახებ ინფორმაციები კონფიდენციალურია. მიმდევართა ასაკის მხრივ ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობის რელიგიური გაერთიანებაა საქართველოში.

უკვე დიდი ხანია მოღვაწეობს საქართველოში პროტესტანტული გაერთიანება — „ბაპტისტები". დღესდღეობით მათ გურჯაანში, ბოლნისში, წყალტუბოში გააჩნიათ საკუთარი სამლოცველო სახლები.

აქტიურად მოღვაწე რელიგიურ გაერთიანებათა შორის არიან „ორმოცდაათიანელები". ასევე შეიმჩნევა „ჭეშმარიტ ქრისტიან-

თა საზოგადოების", „სუბოტნიკების", „ევანგელისტების" გავრცელება.

ოფიციალურ მართლმადიდებლობასთან აქტიურად დაპირისპირებულ მიმდინარეობას (და არა სექტას) წარმოადგენენ ე.წ. „სტაროობრიადცები" ანუ „სტაროვერები". ამ უკანასკნელთა საქმიანობა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოშია შესამჩნევი. ამჟამად „სტაროვერთა" გაერთიანების ცენტრია ფოთში, მალთაყვისა და გრიგოლეთის ზონაში, სადაც ტრადიციულად მათი მიმდევრების დასახლება იყო.

საქართველოში ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ფუნქციონირებენ „კრიშნაიტების", „მუნისტების", „ბაჰაისტებისა" და სხვა, ე.წ. ახალი რელიგიების ორგანიზებული ჯგუფები და მისიონერები.

სექტების გავრცელების არეალს თუ რეგიონების მიხედვით გადავხედავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ[3.]:

### ა) კახეთი

განსაკურთებული აქტიურობითა და მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა „იეღოვას მოწმეები". გავრცელება მოახერხეს თითქმის მთელ რეგიონში. განსაკუთრებით მოიკიდეს ფეხი გურჯაანში. ერთ-ერთი მძლავრი დასაყრდენი გახდა ქ. თელავი. აქ მათი რაოდენობა 1000-მდე მიმდევარს ითვლის. ასეთივე მდგომარეობაა ლაგოდეხში. ახმეტის რაიონი მიმდევართა სიმრავლით არ გამოირჩევა, მაგრამ ისინი აქ 1996 წელს გამოჩნდნენ და დღეს მძლავრ სააგიტაციო-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევიან. დაინტერესებულ მოქალაქეებს ბიბლიას ასწავლიან და უკითხავენ იეღოველთა ოფიციალური ორგანოს – ჟურნალ „საგუშაგო კოშკს". 1996 წ. 7-10 სექტემბერს დაბა წნორში ჩატარდა „იეღოვას მოწმეთა" საოლქო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 800-მდე მორწმუნე, მათ შორის 200 ადგილობრივი მკვიდრი. მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დელეგაციებმა სანკტ-პეტერბურგიდან და კიევიდან. სამკაციანი ჯგუფი ჩამოვიდა აზერბაიჯანის ბელაქნის რაიონიდან.

კახეთის დანარჩენ რაიონებში „იეღოვას მოწმეთა" გაერთიანების საქმიანობა მეტ-ნაკლები აქტიურობით გამოირჩევა.

პროტესტანტული გაერთიანება „ბაპტისტები" პირველად სიღნაღში გამოჩნდნენ (1945 წ.). ყველაზე აქტიურად ისინი გურჯაანის რაიონში მოქმედებენ, სადაც 90-იანი წლების დასაწყისში ააგეს საკუთარი სამლოცველო სახლი. აქედან გადავიდნენ ყვარელში. ყველაზე მრავალრიცხოვანი მიმდევრები მათ ლაგოდეხში ჰყავთ. „ბაპტისტები" კახეთის ექვს რაიონში მოქმედებენ.

რელიგიურ გაერთიანებათა შორის აქტიურობით გამოირჩევა „ორმოცდაათიანელები", დღესდღეობით ისინი კახეთის 5 რაიონში მოქმედებენ. 1988 წლიდან მათ ფეხი მოიკიდეს ლაგოდეხის რაიონში, ოსებით დასახლებულ სოფლებში. 90-იანი წლებიდან ისინი კახეთის სხვა რაიონებშიც მოქმედებენ. 1991 წლიდან გაერთიანებამ ფუნქციონირება დაიწყო ახმეტის რაიონში. ამჟამად მათ კახეთში 7 მოქმედი ჯგუფი ჰყავთ.

რაც შეეხება სხვა გაერთიანებებს, კახეთში ისინი დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან.

ლაგოდეხში „ჭეშმარიტ ქრისტიანთა საზოგადოებას" დაახლოებით 70-მდე მიმდევარი ჰყავს.

ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონებში 1865 წლიდან მოქმედებენ „მოლოკნები", მათი მრევლი მცირერიცხოვანია და, ძირითადად, აერთიანებენ რუსეთიდან გადმოსახლებულ „მოლოკანთა" შთამომავლებს.

ბოლო დროს ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირსა და სანავარდოში მცხოვრებ კათოლიკე მესხების შთამომავლებთან სააგიტაციოდ ჩადიან კათოლიკე პადრები.

*ბ) გურია*

გურიის რეგიონში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან „იეღოვას მოწმეები" და „ორმოცდაათიანელები". „იეღოვას მოწმეთა" გაერთიანება პირველად ჩოხატაურის რაიონში გამოჩნდა 1990-92 წლებში, შემდეგ კი ლანჩხუთში – 1993 წელს.

გურიის რეგიონში უკვე რამდენიმე ათეული წელია არსებობენ „ბაპტისტები" და „სტაროვერები". „სტაროვერების" რიგების შევსება, ძირითადად, რეგიონში მცხოვრები რუსი ეროვნების ადამიანთა ხარჯზე ხდებოდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „სტაროვერთა" უმრავლესობა გასულია გურიის რეგიონიდან. თან-

დათან იზრდება „იეღოვას მოწმეებისა" და „ორმოცდაათიანელთა" მიმდევრების რიცხვი.

### *გ) ქვემო ქართლი*

დღესდღეობით წალკის რაიონში არ მოქმედებს არც ერთი რელიგიური ორგანიზაცია. რაც შეეხება ქვემო ქართლის დანარჩენ ადმინისტრაციულ რაიონებს, ყველაზე მეტად გავრცელებულია „იეღოვას მოწმეები", რომლებიც თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ 1989-90 წლებში ბოლნისის, დმანისისა და გარდაბნის რაიონებში, ხოლო 1992 წელს — თეთრიწყაროს რაიონშიც. ისინი სისტემატურ ქადაგებას ეწევიან მარნეულის რაიონშიც, სადაც, გაითვალისწინეს რა ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნება, ჩამოყალიბებული აქვთ ქართული, რუსული და აზერბაიჯანულენოვანი ჯგუფები. ამ ჯგუფებში გაერთიანებულია 150-მდე კაცი. ქვემო ქართლში ცალკე შეიძლება გამოიყოს სოფლები, სადაც „იეღოვას მოწმეების" გავლენა საგრძნობია. კერძოდ, ბოლნისის რაიონის სოფლები: რატევანი, რაჭისუბანი, ტანძია, ბალიჭი; დაბები - კაზრეთი და თამარისი; თეთრიწყაროს რაიონში - სოფლები: ფარცხისი, მარაბდა და ივანოვკა.

ქვემო ქართლის რეგიონში „ბაპტისტების" დასაყრდენ პუნქტად ითვლება დმანისის რაიონის სოფელი განთიადი. ქ. ბოლნისში მათ საკუთარი სამლოცველო სახლი გააჩნიათ.

1995 წლიდან თეთრიწყაროს რაიონში გამოჩნდნენ კრიშნაიტები. მათი ცენტრია სოფელი ასურეთი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ამ რეგიონში მუსლიმური რელიგიის გავრცელების საკითხი. ქვემო ქართლში კომპაქტურად სახლობს აზერბაიჯანელი და აჭარიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა. მაჰმადიანობის მიმდევართა საქმიანობა მკვეთრად გააქტიურდა. მარნეულის სოფლებში — კიზილაჯალო, ალგეთი, დამია, გეურარხი, სადახლო, ბაიდარი, ქვემო სარალი — მოქმედებს მეჩეთები.

მუსლიმური ტრადიციული რელიგიის ქადაგების გააქტიურებას თავისი დადებითი მხარეები გააჩნია. კერძოდ, ასეთ სიტუაციაში ნაკლებად საშიშია ისეთი მუსლიმური სექტის გავრცელება, როგორიცაა „ვაჰაბიტები".

### *დ) შიდა ქართლი*

შიდა ქართლის რეგიონში რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის დასაყრდენს ქ. გორი წარმოადგენს, სადაც ყველა რელიგიური გაერთიანების ცენტრი არსებობს. ყველაზე მეტად გავრცელებულია „იეღოვას მოწმეები", რომლებიც შიდა ქართლის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში მოქმედებენ. „ორმოცდაათიანელებსა" და „ბაპტისტებს" ვხვდებით სამ რაიონში — გორი, კასპი, ქარელი. „სტაროვერები" მოქმედებენ გორში.

### *ე) სამეგრელო და ზემო სვანეთი*

სამეგრელოს მოსახლეობაში საკმაო მხარდაჭერა პოვა „იეღოვას მოწმეებმა". სამეგრელო, კახეთის შემდეგ, მეორე რეგიონია „იეღოვას მოწმეთა" მიმდევრების რაოდენობითა და გავრცელების მასშტაბურობით. ამ ორგანიზაციამ სამეგრელოსა და ზემო სვანეთში 1988-89 წლებში დაიწყო საქმიანობა. სწორედ ამ პერიოდიდან გამოჩნდნენ იეღოველები სენაკში, ზუგდიდსა და მესტიაში, ხოლო ჩხოროწყუს რაიონში 80-იანი წლების დასაწყისიდან შეიმჩნეოდნენ. 1995 წლიდან „იეღოვას მოწმეებმა" სამეგრელოს რეგიონის ყველა რაიონში მოიკიდეს ფეხი.

„ბაპტისტები" მოქმედებენ ზუგდიდსა და ფოთში, ხოლო „ორმოცდაათიანელებისა" და „სტაროვერების" გავრცელების არეალი ამ რეგიონში ფოთით შემოიფარგლება. საქართველოს საზღვაო ჭიშკარი — ფოთი ცალკეული რელიგიური გაერთიანებების საქმიანობისათვის ხელსაყრელ ადგილად იქცა, რადგან სწორედ აქედან შემოდის მათთვის განკუთვნილი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი და შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოში ვრცელდება. ფოთში მოქმედებს და იქვე აქვს ცენტრი სამეგრელოს რეგიონში მოღვაწე ყველა რელიგიურ გაერთიანებას.

### *ვ) რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი*

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში რელიგიური გაერთიანებების ნაკლები აქტიურობა შეინიშნება. ამ მხარეში, ძირითადად, „იეღოვას მოწმეები" და „ბაპტისტები" შეინიშნებიან. „იეღოვას მოწმეები" პირველად 1991 წელს ონში გამოჩდნენ, 1992 წლიდან — ამბროლაურში. ამავე პერიოდიდან (1992-93 წწ.)

მათი აქტიური საქმიანობა შეინიშნება ცაგერსა და ლენტეხში. ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელია ის, რომ არატრადიციული რელიგიების მიმდევრები ძირითადად საშუალო ასაკის (30-50 წელი) ქალბატონები არიან.

რაც შეეხებათ „ბაპტისტებს", ისინი მხოლოდ ცაგერის რაიონში მოქმედებენ.

*ზ) მცხეთა-მთიანეთი*

ამ რეგიონში რელიგიური გაერთიანებების აქტიურობით გამოირჩევა დუშეთისა და თიანეთის რაიონები. აქ, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით გავრცელებულია „იეღოვას მოწმეები". დუშეთის რაიონში მათმა რიცხვმა 600-ს გადააჭარბა. ისინი, ასევე, შეინიშნებიან თიანეთში, ყაზბეგსა და მცხეთაში. „ბაპტისტები" მხოლოდ თიანეთსა და მცხეთაში არიან, „ორმოცდაათიანელები" — დუშეთში. თიანეთსა და მცხეთაში მოქმედებენ ისეთი მცირედგავრცელებული რელიგიური ორგანიზაციებიც, როგორიცაა „კრიშნაიტები" და „ბაჰაის მიმდევრები".

*თ) იმერეთი*

იმერეთში არსებული ვითარება მეტ-ნაკლებად წააგავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შექმნილ ვითარებას. რეგიონში უკვე დიდი ხანია მოღვაწეობენ „ბაპტისტები" და „ორმოცდაათიანელები", თუმცა, ისინი დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან. რაც შეეხება „იეღოვას მოწმეებს", პირველად 1987-88 წლებში სამტრედიაში გამოჩდნენ, 1988 წლიდან — ტყიბულსა და ჭიათურაში. დღესდღეობით ისინი იმერეთის თორმეტივე რაიონში მოქმედებენ. ცენტრი გააჩნიათ ქ. ქუთაისში, სადაც ხდება მთელი რეგიონის საქმიანობის კოორდინირება.

საკმაოდ აქტიურობენ „ორმოცდაათიანელები", ზესტაფონში მათ საკუთარი სამლოცველო გააჩნიათ. აქ მათი მიმდევრების რაოდენობა 600 კაცამდე აღწევს და უმრავლესობა ახალგაზრდები არიან. მათი გავრცელების არეალია წყალტუბო, ასევე, სამტრედია, ჭიათურა. იმავე რაიონებში ვხვდებით „ბაპტისტებსაც".

იმერეთის რეგიონის ორ რაიონში — ტყიბულსა და ზესტაფონში მოქმედებს „ჭეშმარიტ ქრისტიანთა" საზოგადოება, საჩხე-

რეში გავრცელდა „კრიშნაიტები" და „ღვთაებრივი ახალი სიტყვა".

*ი) აჭარა*

ტრადიციული რელიგიების გვერდით აჭარაში რამდენიმე სხვა რელიგია და სექტა გამოჩნდა, კერძოდ: „იეღოვას მოწმეები", „ბაჰაისტები", „კრიშნაიტები", „ბაპტისტები", „ევანგელისტები", „ორმოცდაათიანელები". აქვე ფუნქციონირებს საქართველოსათვის არატრადიციული მართლმადიდებელი მიმდინარეობა — „სტაროვერობა". „ბაჰაისტებსა" და „კრიშნაიტებს" აქტიური მომხრეები არ გამოუჩნდათ, მაგრამ მათი დამკვიდრების მცდელობა დღესაც დიდია.

საინტერესოა, რომ „იეღოვას მოწმეთა" და „ორმოცდაათიანელთა" რიგები ძირითადად ივსებოდა იმ ქართველი და სომეხი ეროვნების მოქალაქეების ხარჯზე, რომლებსაც საზღვარგარეთ (აშშ, კანადა, ავსტრალია და ისრაელი) ემიგრირების სურვილი ჰქონდათ. სექტაში გაერთიანება მათ წევრებს საშუალებას აძლევდა შესაბამის ქვეყანაში, თავიანთი თანამოაზრეების დახმარებით, მიელოთ ქვეყნის მოქალაქეობა და მოეგვარებინათ სოციალურ-ეკონომიკური პირობები. საინტერესოა ისიც, რომ ბათუმის ტერიტორიაზე არც ერთ დასახელებულ რელიგიურ ორგანიზაციას ოფიციალური, მუდმივი წარმომადგენლობა არ გააჩნია.

# კარი IV.
# ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის თანამედროვე მოდელები

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის რამდენიმე მოდელი შეძლება გამოვყოთ:

1. სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა;
2. სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნა;
3. რელიგიური პრიორიტეტი;
4. სახელმწიფო რელიგია.

## 1. *სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა*

სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნის სანიმუშო მოდელია აშშ.

აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება, რელიგიის თავისუფლების შესახებ, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნის საფუძველი გახდა, მაგრამ ამგვარი მოდელის დაკანონებას სახელმწიფოში ეკლესიისადმი მტრულად განწყობის საწყისი არ გაუჩენია. ეს მოდელი ეფუძნებოდა იმიგრანტთა გამოცდილებას, რომელთა დიდი ნაწილიც სარწმუნოებრივი დევნის გამო გადასახლდა ამერიკაში. გამოირიცხა სახელმწიფოს სამართლებრივი დაკავშირება ეკლესიასთან, რაც სხვა ეკლესიის საზიანო იქნებოდა. „კონსტიტუციის მამები" ისეთ სახელმწიფოს უყრიდნენ საფუძველს, რომელიც ყველა პიროვნებას მისცემდა საშუალებას დაუბრკოლებლად შეესრულებინა რელიგიური წეს-ჩვეულებანი.

როდესაც სახელმწიფოსა და რელიგიის სრულ გამიჯვნაზე ვსაუბრობთ, ეს არ ნიშნავს რწმენისა და აღმსარებლობის აკრძალვას, არამედ, პრინციპი რელიგიის თავისუფლებისა, რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსს გულისხმობს.

აშშ-ში რელიგიურ ორგანიზაციებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი ენიჭება. თავიანთ საქმიანობაში ისინი

ყველასათვის სავალდებულო კანონებს ემორჩილებიან. კონსტიტუციიდან გამომდინარე, რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით შესაძლებელია ადგილობრივი კანონების მიღება, რომელთა მიხედვით რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა და განათლება მთლიანად თვითდაფინანსებასა და შემოწირულობებზეა აგებული.[4.]

დე იურედ გამოცხადებულმა სრულმა ნეიტრალიტეტმა ფაქტობრივად სხვაგვარი შეფერილობა მიიღო. მაგალითად, კონგრესს ჰყავს საკუთარი მღვდელი, ზრუნავენ სამხედროთა სულიერ მდგომარეობაზე, ფიცის მიღების დროს გამოიყენება ბიბლია, მონეტებზე ამოტვიფრულია „In God We Trust", რელიგიურ გაერთიანებებს საფოსტო პრივილეგიები გააჩნიათ. პრაქტიკულად დაიწყო სუბსიდიების გზით რელიგიურ ორგანიზაციათა ხელის შეწყობა და იმის გამოკვეთა, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის რადიკალურმა გაყოფამ შეიძლება საზიანო ეფექტიც კი მოიტანოს საზოგადოებისათვის.

პოზიტიური ნეიტრალიტეტის თვალსაზრისით საინტერესოა *ბელგია*, სადაც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები 1831 წლის კონსტიტუციით განისაზღვრა და იგი კათოლიკეებისა და ლუთერანების ისტორიულ კომპრომისს წარმოადგენს. ბელგიის სამართალი რელიგიურ თანასწორობას აღიარებს, მაგრამ რელიგიურ ორგანიზაციათა თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით მაინც განსხვავებული მიდგომა არსებობს. ზოგიერთმა რელიგიამ ოფიციალური აღიარება მიიღო, რაც გარკვეული უპირატესობების დაწესებასთან არის დაკავშირებული. რადგან რელიგიური ორგანიზაციის საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს, გადაწყვეტილების მიღების უფლება ამ სფეროში სასამართლოებს გააჩნიათ. ასეთი აღიარების შემდეგ ეკლესია სახელმწიფოსაგან იღებს დახმარებებს მშენებლობებისა და შენობების შეკეთებისათვის. ეკლესიას გააჩნია თავისი რადიო და ტელეგადაცემები. შეიარაღებულ ძალებში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი სასულიერო პირების საქმიანობა ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.[5.]

რელიგიური გაერთიანების თვითმმართველობისათვის საჭირო სამართლებრივ საფუძველს კონსტიტუციის 21-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის მიხედვით სახელმწიფომ ეკლესიას ზედამხედველობა არ უნდა გაუწიოს, იგი თავისუფალია და შეუძლია ეკლესიის შიგნით არსებული სტრუქტურები თვითონ განსაზღვროს.

თუკი სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის პრინციპი აშშ-ში ცარიელ ადგილზე აღმოცენდა, *საფრანგეთში* 1905 წლის 9 დეკემბერის კანონმა სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფის წესი (რომელიც არ მოქმედებს მხოლოდ ლოტარინგიასა და ელზასში) ტრადიციული კონფესიის საფუძველზე შემოიღო.

1958 წლის კონსტიტუციამ გააუქმა აღიარებული რელიგიური გაერთიანებების ინსტიტუტი. ასეთ სიტუაციაში რელიგიური გაერთიანებები აღარ წარმოადგენენ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, ისინი კერძო საქმეთა სფეროს განეკუთვნებიან. არ არსებობს ოფიციალური რელიგია ან ისეთი, რომელიც დომინირებს. თუმცა ეს მოჩვენებითი ნეიტრალიტეტი ვლინდება ისეთი ფაქტების აღიარებაში, როგორიცაა მრავალი მილიონი კათოლიკე ფრანგის სურვილი შესაბამისი რელიგიური აღზრდის აუცილებლობის შესახებ, ეკლესიის ხელშეუხებლობა სახელმწიფოს მხრივ აღზრდის, სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით.

რელიგიურ ორგანიზაციად აღიარება აქაც სასამართლოს მიერ ხდება. მართლმსაჯულების გავლენით უკანა ფონზე გადაიწია სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის იდეოლოგიურმა ხასიათმა. მართალია, სახელმწიფო არც ერთ რელიგიურ გაერთიანებას არ აფინანსებს, რესურსები მათ კერძო წყაროებიდან უნდა მიიღონ, მაგრამ სახელმწიფოს არაპირდაპირი დახმარება მაინც არსებობს — სახელმწიფო უხდის ხელფასს იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ციხეებსა და საავადმყოფოებში მუშაობენ.

მსგავსი მოდელია *ირლანდიაში*, თუმცა გარკვეული თავისებურებებით. ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები იურიდიული პირის სტატუსით ავტომატურად არ სარგებლობენ. საეკლესიო საკუთრება გადაცემული აქვთ ერთგულ პირებს, ნაწილი

მრევლს, ნაწილი კი — ეპარქიას. სახელმწიფოსაგან გამოყოფის პროცესში ეკლესიამ შექმნა საეკლესიო წარმომადგენლობითი ფონდი, როგორც საკუთრების მფლობელი. ეს ფონდი 1870 წლის 15 ოქტომბერს სამეფო პაქტის საშუალებით იქნა რეგულირებული. ქონების შეძენა ან გამოყენება ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების მიერ განისაზღვრება მხოლოდ საკუთარი წესების მიხედვით. სასულიერო პირთა ხელფასები დაბეგვრას ექვემდებარება, ხოლო რელიგიურ ორგანიზაციათა შენაწირები და ანდერძი დაბეგვრისაგან თავისუფლდება.

2. *სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნა*

კორპორაციული გამიჯვნის მოდელია *გერმანია*. ეს მოდელი თავისი შინაარსით შუალედურია სახელმწიფო ეკლესიებსა და ეკლესიასა და სახელმწიფოს მკაფიო გამიჯვნას შორის. სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა კონსტიტუციური მოთხოვნაა, მაგრამ, ამავე დროს, დაშვებულია ორივე ინსტიტუტის კოოპერაცია იმ შემთხვევაში, როცა ადამიანზე ერთობლივი ზრუნვა საქმით გამოიხატება. ის, რომ მოქმედი სამართლით არსებობს კოოპერაცია და არა აბსოლუტური გამიჯვნა, უპირველეს ყოვლისა დასტურდება იმით, რომ ეკლესიის ამოცანები საზოგადოებრივი ამოცანებია (სახელმწიფო ამოცანებისაგან განსხვავებით).

ეკლესიები და სხვა რელიგიური საზოგადოებები წარმოადგენენ საჯარო სამართლის კორპორაციებს საზოგადოებრივი სამართლებრივი ხასიათით. ისინი ორგანიზებულნი არიან თავიანთი ამოცანების შესასრულებლად; არსებობს აგრეთვე შეზღუდული სამართლებრივი ზედამხედველობა.

სახელმწიფოსგან ეკლესიის დამოუკიდებლობის პრინციპი მოქმედებს ისეთ სფეროში, როგორიცაა ღვთისმეტყველება, ღვთისმსახურება, ზრუნვა სულის გადასარჩენად, რელიგიური ჩვეულებები, პროცესიები, საქველმოქმედო დახმარება, საეკლესიო წესდება, საეკლესიო ორგანიზაციის მმართველობა და ა.შ. ამ სფეროებში ეკლესიები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ თვითორგანიზებით და საკუთარი შეხედულებით. ყველა სხვა შემთხვევაში, ისინი სა-

ხელმწიფოში არსებულ სამართალს ექვემდებარებიან. იმ სფეროში, სადაც სახელმწიფო და ეკლესია საერთო საკითხებს აწესრიგებენ, სახეზეა კოოპერაცია და არა კოორდინაცია. ეს წესი 1990 წლის 3 ოქტომბრის ძირითადმა კანონმაც დაადასტურა, რომელმაც ნაციონალ-სოციალისტების 12 წლის არსებობისა და 45-წლიანი სოციალისტური რეჟიმის პერიოდში რელიგიური გაერთიანებების დევნის შემდეგ დიდი ცვლილებები მოიტანა გერმანიაში ლანდებისათვის (მიწებისათვის). ე.ი. კონსტიტუციურად ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ მათ შორის კორპორაცია ხელშეკრულებით ფორმდება. ხელშეკრულების დადება ცალკეულ ეკლესიებთან ლანდების (მიწების) კომპეტენციაა (რასაც რეფორმაციის დროინდელი ტრადიციაც უჭერს მხარს).

მაგალითად, წმინდა ტახტსა და საქსენ-ანჰალტის მიწას შორის 1995 წლის 15 იანვრის ხელშეკრულება აღიარებს, რომ გერმანიის გაერთიანება, რელიგიის თავისუფლების დაცვა, ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის პრინციპის გატარება, პარტნიორული ურთიერთობის წანამძღვრებს ქმნის. ამ ხელშეკრულების დადების საფუძვლად მიჩნეულია გერმანიის იმპერიასა და წმინდა ტახტს შორის მოქმედი 1933 წლის 20 ივლისის კონკორდატი და თავისუფალ სახელმწიფო პროიზენსა და წმინდა ტახტს შორის 1929 წლის 14 ივნისის ხელშეკრულება, რომლის მე-14 მუხლის თანახმად:

1. ეპარქიები, საეპისკოპოსო ტახტები, კათედრალ-კაპიტოლი და საეკლესიო გაერთიანებები, აგრეთვე მათ მიერ შექმნილი კავშირები, საჯარო სამართლის კორპორაციებს წარმოადგენენ. მათი სამსახური საჯარო სამსახურია.

2. კათოლიკური ეკლესია დროულად აცნობებს მიწის მთავრობას, აგრეთვე ტერიტორიულ-დარგობრივ კომუნალურ კორპორაციებს საჯარო სამართლის საეკლესიო კორპორაციების დაარსების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ. განზრახული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე იურიდიული პირის სტატუსის მქონე საჯარო სამართლებრივი საეკლესიო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დაარსება და რეორგანიზაცია მიწის მთავრობის სანქციონირებას საჭიროებს. კანონით გათვალისწინებული

თანხმობა კერძო დაწესებულებებთან მიმართებაში უცვლელი რჩება.

3. ეპარქიების გადაწყვეტილებანი, საჯარო სამართლის საეკლესიო კორპორაციების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ქონებრივ-სამართლებრივი წარმომადგენლობის წესის დარღვევისას, მიწის მთავრობას შეუძლია ერთი თვის განმავლობაში გააპროტესტოს. ამ მუხლის კონსტატაცია, რომ საეკლესიო სამსახური საჯარო სამსახურია, გამომდინარეობს საჯარო სამართლის კორპორაციის სტატუსიდან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოქმედი კანონმდებლობა საჯარო სამსახურის შესახებ საეკლესიო და საჯარო სამსახურს ერთმანეთთან ათანაბრებს. კათოლიკური ეკლესიის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო სამსახურისაგან განსხვავებული ამოცანების გამო საჯარო სამსახურის შესახებ ნორმები საეკლესიო სამსახურში უშუალო გამოყენებას ვერ პოვებს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრულია ერთობლივი საქმიანობის საკითხები:

მიწის მთავრობა და საეპისკოპოსო სისტემატური კონსულტაციების საჭიროებას ხედავენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათ ურთიერთშეხებას განაპირობებს ან ორმხრივ ინტერესს წარმოადგენს.

მიწის მთავრობა ატყობინებს კათოლიკურ ეკლესიას იმ საკანონმდებლო აქტებისა და დარგობრივი პროგრამების მომზადების თაობაზე, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის ინტერესებს უშუალოდ შეეხებიან.

სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ამ ვალდებულების განსახორციელებლად და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის გასაუმჯობესებლად საეპისკოპოსო ნიშნავს რწმუნებულს და მიწის მთავრობასთან აარსებს კათოლიკურ ბიუროს, როგორც საეპისკოპოსოს კომისარიატს საქსენ-ანჰალტის მიწაზე.

ხელშეკრულება ითვალისწინებს კათოლიკურ სწავლებას საჯარო სკოლებში, რომელიც წიგნებსა და პროგრამებთან ერთად მტკიცდება ეპისკოპოსის მიერ. ნებართვას ასეთ სწავლებაზე (missio canonica) გასცემს ეპისკოპოსი.

კათოლიკურ ეკლესიას უფლება აქვს შექმნას საქველმოქმედო ჯგუფები განათლების, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროში.

ასევე, მიწა ანიჭებს კათოლიკურ ეკლესიას შესაძლებლობას სახელმწიფო საავადმყოფოებში, თავშესაფრებში, სასჯელთა აღსრულების, სასწავლო-აღმზრდელობით და მიწის სხვა ამგვარ დაწესებულებებში განახორციელოს ღვთისმსახურება, რელიგიური ღონისძიებები და სხვადასხვაგვარი სასულიერო მზრუნველობა. როცა ეს ამოცანები ნებაყოფლობითი სასულიერო მზრუნველობით ხორციელდება, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჭიროა შესაბამისი ეპისკოპოსის თანხმობის წარდგენა და მიწის მთავრობასთან შეთანხმება.

კათოლიკურ ეკლესიას უფლება აქვს მიწის კანონმდებლობის თანახმად, დააარსოს კერძო რადიო.

საეკლესიო საკუთრებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება ადგენს, რომ ექსპროპრიაციული ნორმების გამოყენებისას მიწის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ეკლესიის ინტერესი და დაეხმაროს ტოლფასოვანი საკუთრების შეძენაში.

ადგილობრივი მთავრობა ზრუნავს სახელმწიფო მიწაზე განლაგებული საეკლესიო ან საქველმოქმედო ნაგებობების მოვლაზე კომუნალური სამშენებლო ვალდებულების ფარგლებში. თვითონვე იძლევა კომუნალური საეკლესიო შენობების საზოგადოებრივი დანიშნულების შენარჩუნების გარანტიებს.

კომპეტენტურ საეკლესიო ინსტანციასთან შეთანხმებით, საეკლესიო ნაგებობების შესაბამის მდგომარეობაში შენახვაზე ვალდებულ მესაკუთრეს შეუძლია თავის თავზე აიღოს საეკლესიო და საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილი ნაგებობის გასხვისება სათანადო კომპენსაციის უზრუნველყოფით.

ძეგლთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით განსაზღვრულია კათოლიკური ეკლესიის ვალდებულება შეინახოს და დაიცვას შესაბამისი ფასეულობების მქონე შენობები, მათდამი მიკუთვნებული ხელოვნებისა და კულტურის ობიექტები. ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოები იცავენ შესაბამისი ეპისკოპოსის მიერ საღვთო სამსახურისათვის დადგენილი კულტურის ძეგლების საეკლესიო დანიშნულებით გამოყენების უპირატეს უფლებას.

ძეგლთა დაცვის კანონის ნორმები, სანებართვო წესი, ნაპოვნის ამოღების, ექსპროპრიაციის მარეგულირებელი ნორმები არ გამოიყენება კულტურის იმ ძეგლთა მიმართ, რომლებიც საეკლესიო საკუთრებაშია. კათოლიკურ ეკლესიას შეუძლია ძეგლთა დაცვის უმაღლეს ორგანოსთან თანხმობით, ამ კულტურის ძეგლების დაცვის უზრუნველყოფისათვის, საკუთარი წესები გამოსცეს.

მიწის მთავრობა კათოლიკური ეკლესიისათვის გაიღებს ერთიან დოტაციას.

საეკლესიო გადასახადების მართვისა და ამოღების საკითხებთან დაკავშირებით ხელშეკრულება ეპარქიებს უფლებას ანიჭებს ამოიღონ საეკლესიო გადასახადები მიწის კანონმდებლობის ნორმების დაცვით.

საეკლესიო გადასახადის, როგორც დამატებითი შემოსავლის შესაფასებლად და საშემოსავლო გადასახადის ამოღების ხელშესაწყობად, ეპარქიები ერთიან საგადასახადო ტარიფზე თანხმდებიან.

საეკლესიო საგადასახადო განაწესები და ტარიფები სახელმწიფო აღიარებას საჭიროებენ.

ეპარქიების წინადადებით, საეკლესიო გადასახადების მარკა (დადგენა და ამოღება), მას შემდეგ, რაც ის ნებადართულია, შეიძლება სახელმწიფო-საფინანსო ორგანოებს გადაეცეს.

საფინანსო ორგანოებს ეკისრებათ საეკლესიო გადასახადების ამოღება.

მიწის მთავრობა მოსაკრებლისაგან ათავისუფლებს ეპარქიებს, საეპისკოპოსოებს, კათედრალ-კაპიტოლს, საეკლესიო გაერთიანებებსა და მათ მიერ შექმნილ კავშირებს, აგრეთვე მათ საჯარო-სამართლებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

ხელშეკრულების ძალაში შესვლა სავალდებულო რატიფიკაციას მოითხოვს.

3. *რელიგიური პრიორიტეტი*

საერთაშორისო პრაქტიკაში, ზოგიერთ იმ ევროპულ სახელმწიფოში, სადაც ტრადიციული რელიგიები არსებობენ, ისინი გარკვეული პრიორიტეტით სარგებლობენ.

ამ სახელმწოფოებში რელიგიური ურთიერთობების რეგულირების სამსაფეხურიანი სისტემა არსებობს:

1. კონკორდატის სისტემა, რომელიც კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობისათვის გამოიყენება.

2. შეთანხმებები, რომელსაც კონფესიები დებენ სახელმწიფოსთან.

3. რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციას ექვემდებარებიან.

ამ მოდელის ნათელი მაგალითია *იტალია*. კათოლიკურ ეკლესიასთან მიმართებაში კონსტიტუციის მე-7 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო და კათოლიკური ეკლესია თავიანთი წყობით დამოუკიდებელნი და სუვერენულნი არიან, მათ შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია 1929 წლის ლატერანის კონკორდატით. ამ კონკორდატის საფუძველზე დაიდო შეთანხმებები, რომლებიც ეხება საეკლესიო კორპორაციებსა და ქონებას (1984 წ.), კათოლიკური ღვთისმეტყველების სწავლებას სკოლებში (1985 წ.), საეკლესიო დღესასწაულებსა და პოლიციელთა სულზე ზრუნვის მოწესრიგებას (1990 წ.). ლატერანის 1929 წლის კონკორდატმა ვატიკანის თეოკრატიული მონარქიის სუვერენიტეტი აღიარა, განსაზღვრა კათოლიკური ეკლესიის უფლებები და პრივილეგიები იტალიაში და ამასთან ერთად, დაადგინა პაპებისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაციის სახით 750 მილიონი ლირის გადახდა. ამის შემდეგ, კათოლიკური ცენტრი მორწმუნეთა სახელით საერო ხელისუფლებასთან ურთიერთობებს კონკორდატების მეშვეობით აგვარებს. ცნობილია 1939 წელს გერმანიასა და პორტუგალიასთან დადებული და სხვა კონკორდატები.[6.]

წმინდა საყდარსა და იტალიის რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმებით:

იტალიის რესპუბლიკა აღიარებს კათოლიკური ეკლესიის სრულ თავისუფლებას მისი სამოძღვრო, აღმზრდელობითი, საქველმოქმედო, ევანგელიზაციის და განწმენდის მისიის განხორციელებაში, კერძოდ, ეკლესიას გარანტირებული აქვს თავისუფლება ორგანიზაციაში, სახალხო რიტუალების, მოძღვრებისა და ღვთისმსახურების აღსრულებაში და არა საეკლესიო საკითხების განსჯადობაში.

მღვდლებსა და საეკლესიო პირებს, რომელთაც აღთქმა აქვთ დადებული, უფლება ენიჭებათ თავიანთი მოთხოვნით გათავისუფლდნენ სამხედრო სამსახურიდან და შეასრულონ სამოქალაქო სამსახური. საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში სასულიერო პირები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავებულნი სულზე მზრუნველობით, გამოძახებულნი იქნებიან ღვთისმსახურების აღსასრულებლად ჯარის ნაწილებში ან სანიტარიული სამსახურისათვის. საეკლესიო საკუთრებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება ადგენს, რომ საეკლესიო ორგანიზაციების კუთვნილი ქონების მართვა ექვემდებარება კანონიკური სამართლით გათვალისწინებულ კონტროლს, თუმცა ამ ორგანიზაციების შენაძენი იურიდიულ პირთა შენაძენების შესახებ იტალიის კანონებით გათვალისწინებულ კონტროლსაც ექვემდებარება. ამ შეთანხმების ხელმომწერი მხარეები დაამტკიცებენ პარიტეტულ კომისიას მათთვის დასამტკიცებლად წარსადგენი იმ ნორმების შესამუშავებლად, რომლებიც შეეხება ამ ორგანიზაციების მართვის და ეკლესიის ქონების განაწესს, აგრეთვე იტალიის სახელმწიფოს ფინანსურ საქმიანობასა და საეკლესიო ორგანიზაციების ქონებრივ მართვაში სახელმწიფო ოპერაციებზე ზედამხედველობას.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია კანონიკური სამართლის ნორმებით განხორციელებელი ქორწინების სამოქალაქო შედეგები. წმინდა საყდარი ითვალისწინებს, რომ: ა) რეგისტრაციას არ ექნება ადგილი, როდესაც მეუღლეები არ პასუხობენ სამოქალაქო კანონმდებლობის მოთხოვნებს; ბ) საეკლესიო ჯვრისწერა ექვემდებარება სამოქალაქო რეგისტრაციას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესაბამის ორგანოებში.

სწავლების თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, იტალიის რესპუბლიკა ცნობს რელიგიური კულტურის ღირებულებას, ითვალისწინებს კათოლიციზმის პრინციპების მნიშვნელობას იტალიელი ხალხის ისტორიულ მემკვიდრეობაში და განაგრძობს კათოლიკური რელიგიის სწავლებას ნებისმიერი საფეხურისა და კატეგორიის არასაუნივერსიტეტო სახალხო სკოლებში.

მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული აკადემიური ტიტულები თეოლოგიასა და სხვა დისციპლინაში, რომელიც დამტკიცებულია წმინდა საყდრის მიერ, ცნობილია სახელმწიფოს მიერაც.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, აგრეთვე, სასჯელაღსრულების ორგანოებსა და საავადმყოფოებში მყოფ პირთა მზრუნველობის ინსტიტუტი. ასეთი კატეგორიის პირთათვის სულიერ დახმარებას უზრუნველყოფენ ეკლესიის ხელმძღვანელობის მიერ დანიშნული საეკლესიო პირები კანონმდებლობის, შიდა საუწყებო და იმ წესების შესაბამისად, რომელთაც დაადგენენ მხარეები.

კულტურული მემკვიდრეობის ზრუნვაზე წმინდა საყდარი და იტალიის სახელმწიფო ურთიერთთანამშრომლობას აღიარებენ. იტალიის კანონების ცხოვრებაში გატარების და რელიგიური ხასიათის მოთხოვნების ჰარმონიზაციის მიზნით ორი მხარის კომპეტენტური ორგანოები წინასწარ თანხმდებიან საეკლესიო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მიკუთვნებული რელიგიური ინტერესების კულტურული სიკეთის დაცვის სფეროში.

წმინდა საყდარი ინარჩუნებს რომისა და იტალიის ტერიტორიაზე არსებულ ქრისტიანულ კატაკომბებს მათი შენახვის, მოვლისა და შენარჩუნების ვალდებულების გათვალისწინებით და უარს ამბობს სხვა კატაკომბების დასაკუთრებაზე.

სახელმწიფო კანონებისა და მესამე პირთა შესაძლებელი უფლებების გათვალისწინებით, წმინდა საყდარს შეუძლია აწარმოოს საჭირო გათხრები და წმინდა რელიქვიების გადაადგილება.

ხელშეკრულება ითვალისწინებს, აგრეთვე, ახალი საკითხების დარეგულირების პროცედურასაც. საკითხები, რომლებიც მომავალში წარმოაჩენენ კათოლიკურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობის საჭიროებას, შეიძლება დარე-

გულირდნენ როგორც ახალი შეთანხმებებით მხარეებს შორის, ისე მოლაპარაკებებით სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსა და იტალიის საეპისკოპოსო კონფერენციას შორის.

კათოლიკური ეკლესიის გარკვეული უპირატესობის მიუხედავად, იტალიის კონსტიტუცია განსაზღვრავს სხვა კონფესიათა ადგილს სახელმწიფოში. არაკათოლიკურ კონფესიებს უფლება აქვთ ჩამოყალიბდნენ საკუთარი წესდების მიხედვით, თუ იგი არ ეწინააღმდეგება იტალიის მართლწესრიგს. მათი ურთიერთობები სახელმწიფოსთან ხელშეკრულებებით რეგულირდება. ასეთი ხელშეკრულება იტალიის სახელმწიფოს 6 კონფესიასთან აქვს დადებული: ვალდესებთან (Tavola Valdese), მეშვიდე დღის ადვენტისტებთან, ორმოცდაათიანელებთან, იუდეველთა კავშირთან, ევანგელისტურ-ბაპტისტურ კავშირთან და ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიებთან. მათთვის დაწესებულია გარკვეული სამართლებრივი პრიორიტეტები, მაგრამ არა კათოლიკური ეკლესიის თანასწორი.

ცალკე შეიძლება იქნეს განხილული იმ რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, რომელთაც შედარებით გვიან მოიკიდეს ფეხი იტალიაში. მათ მიმართ გამოიყენება 1929 წლის კანონი, რომლითაც დადგენილია საგადასახადო შეღავათები საქველმოქმედო და საგანმანათლებლო მიზნით წარმოებული საქმიანობისათვის. ეს რელიგიური ორგანიზაციები კორპორაციის პრინციპზე ყალიბდებიან. სახელმწიფო ორგანოებს კანონით უფლება აქვთ შეცვალონ ამ კორპორაციის მმართველობითი ორგანოები და გააუქმონ კორპორაციის გადაწყვეტილებანი.

ასე რომ, იტალიის სამართლებრივი სისტემა რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსაფეხურიან მოდელს იცნობს:

1. კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობა, (კონკორდატებით რეგულირებული);

2. ტრადიციულ რელიგიებთან ურთიერთობა (ხელშეკრულებებით რეგულირებული);

3. კანონის საფუძველზე შექმნილ, რეგისტრირებულ რელიგიურ კორპორაციებთან ურთიერთობა.

კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობის მსგავსი მოდელი გააჩნია *ესპანეთს*.[7.] კონსტიტუცია ცნობს რომის კათოლიკურ

ეკლესიასთან დადებულ კონკორდატს, ამასთან აცხადებს რელიგიის თავისუფლებას. ესპანეთში კონკორდატების გვერდით, კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად, არსებობს კანონი რელიგიის თავისუფლების შესახებ. ეს კანონი ეხება არაკათოლიკური რელიგიური ორგანიზაციების სტატუსს, მათი სახელმწიფოსთან ურთიერთობის პრინციპებს, უშვებს სხვა რელიგიებთან ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არ არსებობს კონფესიის ცნების კანონისმიერი განსაზღვრება. იგი გამომდინარეობს თვით მოძღვრებიდან, რომლის ესპანური მოდელი სხვადასხვა კონფესიას სხვადასხვა რანგში აყენებს — კათოლიკური ეკლესია, კონფესიები ხელშეკრულებით, რეგისტრირებული და არარეგისტრირებული კონფესიები, რელიგიური მიმართულებების ჯგუფები, რომელთაც კონფესითა დამახასიათებელი ნიშანი არ გააჩნიათ. რეგისტრირებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ იზრუნონ სკოლებში მოზარდთა სულებზე, გამოსცენ ორგანიზაციული შინაგანაწესისა და პერსონალთან ურთიერთობის მომაწესრიგებელი ნორმები. სახელმწიფოსაგან დაფინანსებას მხოლოდ კათოლიკური ეკლესია იღებს და თავისუფლდება საშემოსავლო, საკუთარი კაპიტალისა და სხვა გადასახადებიდან. ამისათვის საჭიროა, რომ ყოველმა გადამხდელმა მიუთითოს თავისი სურვილი, თუ რისთვის გამოიყენონ მისი გადასახადის ნაწილი.

კონკორდატის მოდელი მოქმედებს ლუქსემბურგში. ცნობილია 1801 წლის კონკორდატი, რომლის შენარჩუნების თაობაზე ხშირად კამათობენ.

*ლუქსემბურგში* სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს. სახელმწიფო აღიარებს კათოლიკურ, ორ პროტესტანტურ და ებრაულ ორგანიზაციებს. მათ გააჩნიათ საზოგადოებრივი სამართლის სუბიექტის სტატუსი. სხვა რელიგიური გაერთიანებები (მაგ., მუსლიმური) საზოგადოებრივი სამართლის სუბიექტის სტატუსით არ სარგებლობენ, მათ შეუძლიათ გამოიყენონ კერძო სამართლის ყველა ფორმა, დააარსონ ფონდები, რომელთაც თითქმის იგივე უფლებები ექნებათ, რაც აღიარებულ რელიგიურ გაერთიანებებს.

ლუქსემბურგში საეკლესიო გადასახადი არ არის დაწესებული, ფინანსირება წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეპისკო-

პოსები, მღვდლები და სხვა პერსონალი ხელფასს იღებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აღიარებული ეკლესიები, საზოგადოებრივი სამართლის სუბიექტები და კერძო სამართლის ფონდები თავისუფლდებიან გადასახადებისაგან.

*ავსტრიაში* მოქმედებს 1933 წლის კონკორდატი, რომელიც 1957 წელს ფედერალური მთავრობის მიერ იქნა აღიარებული. ასევე, საეკლესიო სამართლის ძირითადი ნორმები მოცემულია 1867 წლის კანონში. ეს კანონი კონსტიტუციურ კანონადაც არის მიჩნეული. იგი ცნობს აღიარებული ეკლესიის სტატუსს, რომელიც დამოუკიდებლად აწესრიგებს და განაგებს საკუთარ საქმეებს, ინარჩუნებს კულტურის, განათლებისა და საქველმოქმედო მიზნებისათვის დაწესებულ ფონდებს.

კანონის პირველი პარაგრაფის მიხედვით, რელიგიური ორგანიზაციის აღიარებისათვის შემდეგი პირობებია საჭირო:

1. ღვთისმეტყველება, ღვთისმსახურება და განწყობა. არჩეული დასახელება არ უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო ან წეს-ჩვეულებების საწინააღმდეგო;

2. კულტის მიმდევართა ერთი გაერთიანებით მაინც უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

აღიარება სასამართლოს დადგენილებით ხდება. დღესდღეობით ავსტრიაში აღიარების სტატუსი აქვთ კათოლიკურ, მეთოდისტთა, სომხურ სამოციქულო ეკლესიას, მორმონებს, ახალ სამოციქულო ეკლესიას, ბუდისტურ რელიგიურ გაერთიანებასა და სირიულ ორთოდოქსულ ეკლესიას.

კათოლიკური, ევანგელისტური და ძველკათოლიკური ეკლესიებისათვის საგადასახადო კანონმდებლობა საეკლესიო გადასახადებს ითვალისწინებს იმისდა მიხედვით, იყენებენ ისინი ეკლესიის მომსახურებას თუ არა. საეკლესიო შენატანის განსაზღვრა და აკრეფა ხდება საეკლესიო წესდებით. კანონმდებლობა უშვებს რელიგიური გაერთიანებების გათავისუფლებას ზოგიერთი გადასახადისაგან, მაგალითად, კორპორაციის ან რენტის გადასახადისაგან, რომელიც საზოგადოებისათვის სასარგებლო, სათნოების მიზნებს ემსახურება.

*პორტუგალიაში* კათოლიკური ეკლესიის სტატუსი 1940 წლის კონკორდატითაა განსაზღვრული. კონსტიტუცია უპირატესობას არც ერთ ეკლესიას არ ანიჭებს. არ ცნობს აგრეთვე ტრადიციული ეკლესიის სტატუსსაც.

სხვა კონფესიების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კანონი 4/71, რომელიც ყველა კონფესიის მიმართ გამოიყენება, გარდა კათოლიკური ეკლესიისა. კათოლიკური ეკლესია კონკორდატის საფუძველზე ბეგარისაგან გათავისუფლებულია, სხვა რელიგიური ორგანიზაციები, კანონიდან გამომდინარე, ამ უფლებამოსილებით არ სარგებლობენ. ასევე, არ სარგებლობენ სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფლებით. ამ კონფესიათა სასულიერო პირების თავისუფალი შესვლა საავადმყოფოებში, სახელმწიფო სკოლებსა თუ ციხეებში მათ სულზე ზრუნვის მიზნით, ასევე არაა აღიარებული. მათ არ ირჩევენ სახელმწიფო თანამდებობებზე. პორტუგალიაში არ არსებობს რელიგიური გაერთიანების საზოგადოებრივი დაფინანსების სისტემა, შესაბამისად, არ არსებობს ნაციონალური ან ადგილობრივი გადასახადები რელიგიური ინსტიტუტების სასარგებლოდ. მსგავსი პრივილეგიები მხოლოდ კათოლიკური ეკლესიისთვისაა გათვალისწინებული.

### 4. სახელმწიფო რელიგიის სტატუსი

რელიგიისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება კონსტიტუციითაა გარანტირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ისტორიული როლისა და ტრადიციების გათვალისწინებით ესა თუ ის რელიგია სახელმწიფოს ნაწილი ხდება და მისი უშუალო მმართველობის სფეროში ექცევა.

ამ მოდელის საინტერესო მაგალითია *დიდი ბრიტანეთი.* მართალია, ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს დაწერილი კონსტიტუცია არ გააჩნია, და შესაბამისად, არ არსებობს რელიგიის თავისუფლებისა და ეკლესიის თვითგამორკვევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები, მაგრამ მისი შემადგენელი ქვეყნები პრობლემის გარეშე თანაარ-

სებობენ სახელმწიფო ეკლესიებითა და სახელმწიფო ეკლესიების გარეშე.

ინგლისის ეკლესია სახელმწიფო ეკლესიაა, რომლის სათავეშიც დედოფალი დგას. იგი ლორდთა პალატაში 24 ეპისკოპოსითაა წარმოდგენილი. ამით ეკლესია სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენს და არ შეიძლება ლაპარაკი იყოს კონკორდატზე ან ხელშეკრულებით ურთიერთობებზე ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. შოტლანდიაში სახელმწიფო ეკლესიაა შოტლანდიის რეფორმისტული ეკლესია. უელსში ანგლიკანური ეკლესია სახელმწიფოსაგან გამიჯნულია. ირლანდიის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ცნობს რომის წმინდა კათოლიკური ეკლესიის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომლის მიმდევარია სახელმწიფოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

თავისებურებას წარმოადგენს ინგლისის ეკლესიის ორგანიზაცია საეკლესიო სამართლის ფორმირებაში. გენერალური სინოდი შედგება სამი პალატისაგან: ეპისკოპოსთა, მღვდელთა და მოყვარულთა. გადაწყვეტილებას სამივე პალატამ უნდა მისცეს ხმა. სინოდის გადაწყვეტილებას საპარლამენტო კანონის ძალა გააჩნია. თუ სინოდი ისეთ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც პარლამენტის პრეროგატივაა, პარლამენტი კონტროლის უფლებას იტოვებს. მაგალითად, სინოდის მიერ მიღებულ აქტებს სამეფო თანხმობის მისაღებად მას შემდეგ წარადგენენ, როცა პარლამენტის ორივე პალატა მისცემს თანხმობას. პარლამენტს გადაწყვეტილების უფლება აქვს, მაგრამ ტექსტს ვერ შეცვლის. სინოდის მიერ კანონიკურ სფეროში გამოცემული აქტები სამეფო თანხმობას საჭიროებს, მაგრამ პარლამენტის თანხმობა არ სჭირდება.

სხვა ეკლესიები ნებაყოფლობითი გაერთიანების სტატუსით სარგებლობენ. არ არსებობს აღიარებული ეკლესიის ცნება, ისევე, როგორც საზოგადოებრივ-სამართლებრივი სტატუსის მქონე ეკლესიები. ეკლესიები სახელმწიფოს მხრიდან არ ფინანსდებიან, თუმცა ზოგიერთი ეკლესია შეიძლება გადასახადისაგან გათავისუფლდეს. არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან ხელფასები და პენსიები სასულიერო პირებისათვის. ერთადერთი დახმარება გამოიხატება ისტორიული ნაგებობების შენახვა-შენარჩუნებაში.

ამ მოდელის ერთ-ერთი მაგალითია *დანია*. ამ ქვეყნის კონსტიტუციის მე-4 მუხლი განსაზღვრავს, — ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია სახელმწიფო ეკლესიაა და სარგებლობს სახელმწიფოს მხარდაჭერითა და მფარველობით.

დანიის სახალხო ეკლესია ექვემდებარება ფოლკეტინგს (დანიის სახალხო პალატა) და საეკლესიო საქმეთა მინისტრს. ამდენად, იგი ცენტრალური სახელმწიფოებრივი დაწესებულებაა და არ წარმოადგენს ავტონომიურ სამართლებრივ ორგანოს — იურიდიულ პირს და არ შეუძლია სამართლებრივი ვალდებულებების აღება. ცალკეული მღვდლებიც კი სახელმწიფო მოხელეები არიან. ამგვარი ეკლესიის დაფინანსების სამი წყარო არსებობს: საეკლესიო გადასახადი, რომელსაც ეკლესიის ყველა წევრი იხდის, სახელმწიფო დახმარება ხელფასებისა და პენსიებისათვის და საეკლესიო ქონებიდან შემოსავალი.

სხვა რელიგიური გაერთიანებები დანიაში დამოუკიდებელ კერძო ინსტიტუტებს წარმოადგენენ. მათი შექმნისათვის სახელმწიფო ნებართვა არ არის აუცილებელი და რაიმე დახმარებას სახელმწიფოსაგან არ იღებენ.

*ფინეთში* ორი სახელმწიფო ეკლესიაა. კონსტიტუციის 83-ე პარაგრაფი ეხება ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის საკითხს, ხოლო 90-ე პარაგრაფი — ორთოდოქსულ (მართლმადიდებელ) ეკლესიას. გარდა ამისა, ორთოდოქსული ეკლესიის შესახებ ცალკე კანონიც არსებობს, რომლის მიხედვით ფინეთის მთავრობა ორთოდოქსული ეკლესიის ყველაზე დიდი ავტორიტეტია.

ფინეთში არსებობს აგრეთვე კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ. ამ კანონის მიხედვით, რელიგიური გაერთიანების დაარსება შეუძლია ფინეთში მუდმივად მცხოვრებ მინიმუმ 20 ადამიანს. მათ რეგისტრაციას განათლების სამინისტრო ახდენს.

ლუთერანული და ორთოდოქსული ეკლესიები საზოგადოებრივ-სამართლებრივ დაწესებულებებს წარმოადგენენ და მათ ერთი სასამართლო სისტემა გააჩნიათ. რაიხსტაგის გახსნისას ღვთისმსახურების წესები სრულდება; ეკლესიის საქმეები მინდობილი აქვს

განათლების სამინისტროს; იკრიბება საეკლესიო გადასახადი; გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისაგან.

კანონი ეკლესიის შესახებ ლუთერანული ეკლესიის წესდებას წარმოადგენს. მხოლოდ საერთო კრებას შეუძლია მასში ცვლილებების შეტანა. პრეზიდენტისა და პარლამენტის როლი მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ განაცხადოს თანხმობა წარმოდგენილ წინადადებაზე ან უარყოს ის. ტექსტის შეცვლის უფლებამოსილება მათ არ გააჩნიათ, კანონს ეკლესიის შესახებ სახელმწიფო კანონის მსგავსი ადგილი უკავია. ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის სინოდის მიერ გამოცემული წესების შესახებ სახელმწიფო ორგანიზაციები კონსულტაციებს არ იძლევიან. აქედან გამომდინარე, მათ მხოლოდ საეკლესიო სამართლებრივი ნორმების იურიდიული სტატუსი აქვთ.

*საბერძნეთის* კონსტიტუციის მე-3 მუხლი აღიარებს ორთოდოქსული სარწმუნოების უპირატესობას. საბერძნეთის ეკლესია რელიგიურად განუყოფელია კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსაგან და სხვა ორთოდოქსული ეკლესიებისაგან.

საბერძნეთის ეკლესია საზოგადოებრივი სამართლის სუბიექტს წარმოადგენს. იგი დაყოფილია ავტოკეფალურ ეკლესიებად, რომელთაც საკუთარი მეთაური ჰყავს და ავტონომიური მართვით ხასიათდება (მსოფლიო საპატრიარქო კონსტანტინეპოლში, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, სერბიის, რუმინეთის, ბულგარეთის, საქართველოს საპატრიარქოები, ასევე კვიპროსის, პოლონეთისა და ალბანეთის ეკლესიები).

საბერძნეთის ეკლესიას განაგებს სინოდი. არ არსებობს საეკლესიო გადასახადი, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდიები გამოიყოფა ეპისკოპოსების, მღვდლებისა და სხვა პერსონალის ხელფასებისათვის. ეკლესია თავისუფლდება ზოგიერთი ისეთი გადასახადისაგან, როგორიცაა მიწისა და საშემოსავლო გადასახადები.

*ისრაელის* კანონი „ისრაელში დაბრუნების შესახებ" რეპატრიაციის უფლებას აძლევს ყველა ებრაელს, თუ სხვა რელიგიას არ აღიარებს. ისრაელის უზენაესმა სასამართლომ ასევე და-

ადგინა, რომ „ყველა ებრაელი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებს, კარგავს ისრაელში რეპატრიაციის უფლებას".

*სკანდინავიის ქვეყნებში* ყველას აქვს უფლება იყოს ან არ იყოს რომელიმე რელიგიური გაერთიანების წევრი. მხოლოდ მეფე და ეკლესიის საქმეთა მინისტრია ვალდებული *შვედეთის* ეკლესიის წევრები იყვნენ. ბავშვი დაბადებიდან შვედეთის ეკლესიის წევრი ხდება ავტომატურად, თუ რომელიმე მშობელი ამ ეკლესიის წევრია და ბავშვის წევრობა ექვსი კვირის განმავლობაში არ იქნება უარყოფილი.

*ისლანდიის* კონსტიტუცია (1944 წ.) ასევე ადგენს ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის სახელმწიფო სტატუსს. თუ ისლანდიის მოქალაქე არ გადაიხდის საეკლესიო გადასახადს, მას ეს გადასახადი იძულებით გადახდება და მიემართება რეიკიავიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე.

*შვედეთის* კონსტიტუციის თანახმად კანონებს მხოლოდ პარლამენტი გამოსცემს. ეს ეხება საეკლესიო კანონებსაც. გენერალურ სინოდს უფლება აქვს შეიტანოს წინადადებები საეკლესიო კანონების ცვლილებების შესახებ. სახელმწიფო უფლებამოსილებას განეკუთვნება ეპისკოპოსებისა და პატრიარქების დანიშვნა. სინოდის წევრებს ირჩევენ ადგილობრივი საბჭოები. არსებობს საეკლესიო გადასახადები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში შედის. ფინანსურ დახმარებას სხვა რელიგიური ორგანიზაციები სახელმწიფოსაგან არ ღებულობენ.

განსხვავებული წესია *ნორვეგიაში*, სადაც რელიგიური ორგანიზაცია სახელმწიფოსაგან ფინანსურ დახმარებას ღებულობს წევრთა რაოდენობის პროპორციულად.

## კარი V.

# სახელმწიფო და რელიგია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

პოსტკომუნისტური ქვეყნები არც ერთ დასახელებულ მოდელში არ თავსდება. მათ არ გააჩნიათ ერთგვაროვანი სისტემა რელიგიასთან მიმართებაში. ამიტომ ისტორიული და თანამედროვე განვითარების თვალსაზრისით, ყოფილი კომუნისტური ქვეყნები ცალკე შეიძლება განვიხილოთ.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური მოთხოვნები რელიგიის თავისუფლების მოწესრიგების შესახებ და ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის განსაზღვრის საკითხები საბჭოთა სისტემაში გამოკვეთილი არ იყო. დეკლარაციული თვალსაზრისით, ამ ქვეყნის კონსტიტუციები ნაწილობრივ დასავლეთის კონსტიტუციების მსგავსი იყო, რაც საშუალებას იძლეოდა კომუნისტური რეჟიმის შემდეგაც ნაციონალურ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში მათი რეცეფცია მომხდარიყო. კომუნისტურ სივრცეში რელიგიის თავისუფლება ათეისტური პოზიციებიდან განიხილებოდა და როგორც ლუხტერჰანდტი ნაშრომში „აღმოსავლეთ ევროპაში რელიგიური კანონმდებლობის განვითარება" იტყოდა — კომუნისტური სისტემა რელიგიისადმი მტრულ სახელმწიფო სისტემას წარმოადგენს. რელიგიისადმი მტრობა მეცნიერებაზე პრეტენზიით დაიწყო. ამას ეყრდნობოდა, აგრეთვე, სინდისის თავისუფლების ანტირელიგიური და ათეისტური გაგება.

სინდისის თავისუფლება არ იყო თითოეულისათვის სამართლებრივად უზრუნველყოფილი ავტონომია, რომელიც საშუალებას იძლოდა წეს-ჩვეულებებისა და რელიგიური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით არჩევანი გაეკეთებინათ ჭეშმარიტად შეცნობილის სასარგებლოდ. იგი უფრო ნიშნავდა სინდისის თავისუფლებას რელიგიისაგან. ასეთი მოძღვრების გამო, რელიგია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან პირად ცხოვრებაში გადასახლდა. ინსტიტუ-

ციონალურად ეს ნიშნავდა, რომ სახელმწიფო ორგანოები თავიანთ საქმიანობაში არ უშვებდნენ რელიგიურ შინაარსს, რაც საფუძველს უქმნიდა რელიგიაზე პერსონალურად ორიენტირებულ მოქალაქეთა განდევნას ხელმძღვანელი თანამდებობიდან და პროფესიიდანაც კი.ფუნქციონალური გაგებით სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის პრინციპი ნიშნავდა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროს სეკულარიზაციას.

ტოტალიტარული რეჟიმის რღვევის შემდეგ შექმნილმა ნაციონალურმა სახელმწიფოებმა აღიარეს რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის დასავლური მოდელი, მაგრამ, რადგან ეს ქვეყნები გამოირჩევიან დიდი ტრადიციების მქონე ეკლესიებით, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ახალი სახელმწიფოების ფორმირების პროცესში მწვავე კონფლიქტები წარმოიშვა.

სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის გვერდით არსებობენ თავისებური სინთეზის მქონე სისტემები, სახელმწიფოს დაქვემდებარებული და გამიჯვნის ელემენტებით, კონკორდატების მოდელით (პოლონეთი).[8.]

პრობლემა გართულდა კომუნისტური რეჟიმის შემდეგ დასავლეთიდან შემოსული ახალი რელიგიური ორგანიზაციების მოძღვრებით. მათთან დამოკიდებულებამ თავისებური ასახვა პოვა რელიგიის შესახებ კანონებში, რომლებიც მისიონერულ თავისუფლებას ზღუდავენ.

*რუსეთში,* სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის საბჭოთა მოდელიდან ახალ მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით, 1993 წელს, პრეზიდენტ ბორის ელცინის ბრძანებულებით რელიგიურ გაერთიანებებს დაუბრუნდათ ის ქონება და შენობები, რაც მათ საბჭოთა პერიოდში წაართვეს (ეკლესიები გადაკეთდა კლუბებად, ბიბლიოთეკებად, მუზეუმებად, მონასტრები — ციხეებად), მოსკოვის საპატრიარქოს დაუბრუნდა მთელი რიგი მონასტრებისა.

დღესდღეობით რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს 1997 წლის კანონი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ, რომლის მე-4 მუხლის მიხედვით არც ერთი რელიგია სახელმწიფო რელიგიად არ ცხადდება. რელიგიური გაერთიანებები გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და თანასწორია კანონის წინაშე.

სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ რელიგიური ორგანიზაციებისათვის დაწესებულ საგადასახადო შეღავათებს და უწევს მათ ფინანსურ თუ სხვა სახის დახმარებას იმ ობიექტების დაცვაში, რომლებიც ისტორიისა და კულტურის ძეგლებს წარმოადგენენ, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლებაში, განათლების შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონით დადგენილ ფარგლებში.

რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ გახსნან თავიანთი სასწავლებლები, ხოლო სახელმწიფო სასწავლებლებში, მშობლების მოთხოვნით, დაიშვება რელიგიის სწავლება (ფაკულტატურ საკითხებზე).

საინტერესოა კანონის მოთხოვნა რელიგიური გაერთიანებების შექმნის შესახებ.

კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, რელიგიური გაერთიანებები შეიძლება შეიქმნას რელიგიური ჯგუფებისა და რელიგიური ორგანიზაციების ფორმით. ასეთი გაერთიანებების შექმნა იკრძალება სახელმწიფო დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებში, თვითმმართველობისა და მუნიციპალურ ორგანიზაციებში. კანონის თანახმად, რუსეთის ფედერაციაში რელიგიურ გაერთიანებად აღიარებული იქნება რუსეთის მოქალაქეთა და რუსეთის ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ პირთა გაერთიანება, რომელიც შექმნილია ერთობლივი აღმსარებლობისათვის და ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: რწმენის აღმსარებლობა, ღვთისმსახურება და სხვა რელიგიური წეს-ჩვეულებების განხორციელება; თავისი მიმდევრებისათვის რელიგიის სწავლება და მათი რელიგიური აღზრდა.

რელიგიური ჯგუფი, კანონის მიხედვით, მოქალაქეთა გაერთიანებაა ერთობლივი აღმსარებლობისათვის სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე. ასეთი ჯგუფების ქონება იქმნება მათი წევრების შენატანების საფუძველზე. რელიგიური ჯგუფები, თუ მომავალში რელიგიურ ორგანიზაციად გარდაქმნას ფიქრობენ, ამ ჯგუფის შექმნის თაობაზე აცნობებენ თვითმმართველობის ორგანოებს.

რელიგიური ორგანიზაცია მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა საერთო აღმსარებლობის საწარმოებლად, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით და აქვს იური-

დიული პირის სტატუსი. რელიგიური ორგანიზაციები იყოფა ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანიზაციებად.

ადგილობრივია რელიგიური ორგანიზაცია, თუ მასში გაერთიანების სურვილი გამოთქვა არანაკლებ ათმა სრულწლოვანმა მოქალაქემ, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ერთ რეგიონში. ამასთან, ამ ორგანიზაციამ უნდა დაადასტუროს აღნიშნულ ტერიტორიაზე მისი 15-წლიანი არსებობა. დადასტურებას ახდენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

ცენტრალიზებულია რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც არანაკლებ 3 ადგილობრივ ორგანიზაციას აერთიანებს. ასეთი ორგანიზაციები, რომელთა სტრუქტურები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ კანონიერად 50 წლის განმავლობაში მაინც, რეგისტრაციის დროს უფლებამოსილნი არიან თავიანთ დასახელებებში გამოიყენონ სიტყვა „რუსეთის". რეგისტრაციის დროს სავალდებულო მოთხოვნაა, რომ რელიგიური ორგანიზაციის სახელწოდება სრულად ასახავდეს მისი აღმსარებლობის შინაარსს. რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ რუსეთის ფედერაციის იუსტიციის ორგანოები.

უცხო ქვეყნის რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ გახსნან წარმომადგენლობები რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ უფლება არა აქვთ განახორციელოდ საკულტო და სხვა რელიგიური საქმიანობა. მათზე არ ვრცელდება რელიგიურ გაერთიანებათა სტატუსი.

კანონი ითვალისწინებს რელიგიური ორგანიზაციების ლიკვიდაციის წესს სასამართლოს მეშვეობით, თუ ირღვევა კონსტიტუცია და რუსეთის ფედერაციის კანონები.

ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

— საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების დარღვევა;

— კონსტიტუციური წყობილების იძულებითი შეცვლისაკენ მიმართული ქმედება;

— სამხედრო ფორმირებების შექმნა;

— ომის პროპაგანდა, სოციალური, რასობრივი, ეროვნული ან რელიგიური განხეთქილებისა და კაცთმოძულეობის პროპაგანდა;

— ოჯახის რღვევის იძულება;

— მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და მორალისათვის ზიანის მიყენება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებებით, ჰიპნოზით და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით;

— თვითმკვლელობებისაკენ მიდრეკილება ან რელიგიური მოტივებით სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმა, როცა პირი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაშია;

— წევრების იძულება, გაასხვისონ თავიანთი ქონება რელიგიური ორგანიზაციის სასარგებლოდ;

— მოქალაქეების წაქეზება, უარი თქვან კანონით დადგენილი სამოქალაქო ვალდებულებების შესრულებაზე.

რუსეთის ფედერაციის კანონი „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ", რელიგიურ გაერთიანებათა 3 კატეგორიას აყალიბებს: რელიგიური ჯგუფი, რელიგიური ორგანიზაცია, რელიგიური წარმომადგენლობა. მათგან, მხოლოდ რელიგიური ორგანიზაციები სარგებლობენ რეგისტრაციის უფლებით, რაც მათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს ანიჭებს. რელიგიური ორგანიზაციები თანასწორუფლებიანნიც არიან ისეთი საზოგადოებრივი ამოცანების განხორციელებისას, როგორიცაა: დააარსონ და შეინახონ საკულტო შენობები და ღვთისმსახურების სხვა სპეციალური ობიექტები; სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ბავშვთა სახლებში, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებულთა თხოვნით ჩაატარონ რელიგიური რიტუალი; აწარმოონ და გაავრცელონ რელიგიური ლიტერატურა, აუდიო-ვიდეო მასალა და სხვა რელიგიური ნივთები; კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელონ საქველმოქმედო საქმიანობა, დაარსონ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში შეიძლება იყოს საკუთარი სახსრებით, შეწირულობებითა და სახელმწიფოს მიერ

უსასყიდლოდ გადაცემული ქონება. რელიგიური ორგანიზაციების ფუნქციონალური დანიშნულებისათვის სარგებლობაში გადაცემული ქონება არ იბეგრება. რელიგიურ ორგანიზაციებში ხელშეკრულებით მომუშავე პირებზე ვრცელდება შრომის კანონმდებლობა. ღვთისმსახურები, ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე ექვემდებარებიან სოციალურ და საპენსიო უზრუნველყოფას და დაზღვევას. „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ" კანონის მოთხოვნათა დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს რუსეთის ფედერაციის პროკურატურა.

*უკრაინაში* სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა მსგავსი კანონითაა მოწესრიგებული. მასში შესულია აგრეთვე საკულტო ნაგებობების უკან დაბრუნების წესები.

დასავლეთ უკრაინაში მრევლმა გამოყოფა დაიწყო მოსკოვის საპატრიარქოსაგან. აღდგა 1946 წელს აკრძალული უნიატური ეკლესია, იმავდროულად ავტოკეფალურად გამოაცხადა თავი უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ. ამის საპასუხოდ მოსკოვის პატრიარქმა, 1990 წელს, კიევის საპატრიარქოს „ავტონომიურ-ორთოდოქსული ეკლესიის" სტატუსი მიანიჭა.[9.]

მართლმადიდებლობის გვერდით ტრადიციულ რელიგიათა შორისაა უკრაინაში კათოლიციზმი და იუდაიზმი. სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს ოფიციალური სტატუსის მისაღებად სახელმწიფოში დადგენილი რეგისტრაციის წესების დაცვა სჭირდებათ, რომლებიც ტრადიციული რელიგიების მსგავსი უფლებებით არ სარგებლობენ საკუთრების, სახელმწიფოსგან სოციალური თუ სხვა სახის დახმარებების სფეროში.

*ბალტიის ქვეყნების* კონსტიტუციები ასევე აღიარებენ „სინდისის, რწმენისა და სიტყვის თავისუფლებას"; ეკლესიის ან რელიგიური გაერთიანებების წევრობა ნებაყოფლობითია; არ არსებობს სახელმწიფო რელიგია. 1990-92 წწ. გამოიცა სპეციალური კანონები რელიგიური ორგანიზაციებისათვის საკუთრების უკან დაბრუნების თაობაზე. ლიტვაში, ისევე როგორც კათოლიკური ქვეყნების უმრავლესობაში, კომუნისტურ პერიოდამდე კათოლიკური ეკლესიის დამოუკიდებლობა ნაწილობრივ კონკორდატითაც იყო გარანტირებული.

*სომხეთის* სამოციქულო ეკლესია სომხეთის ეროვნული ეკლესიაა. ყველა სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები. რელიგიური ორგანიზაციებისათვის სამართლებრივი სტატუსის მისანიჭებლად კანონმდებლობა სავალდებულო რეგისტრაციის წესს ადგენს. ყველა ორგანიზაციამ, რომელმაც 1999 წლის 30 ივნისამდე შეიტანა განაცხადი, რეგისტრაცია გაიარა გარდა „იეღოვას მოწმეებისა". ხელისუფლებამ მათ უარი უთხრა რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ თავიანთ რწმენაზე მოქცევა იეღოვას მოწმეების საქმიანობის ძირითადი ელემენტია და ამით საფრთხე ექმნება ქვეყნის უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს. პროზელიტიზმის აკრძალვა გათვალისწინებულია რელიგიის შესახებ 1991 წლის კანონში.

*აზერბაიჯანის* კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ ადგენს ტრადიციული რელიგიების სტატუსს, ითვალისწინებს და ამკვიდრებს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის წესს. სხვა ქვეყნის მოქალაქეებისა და აზერბაიჯანელთა რელიგიური საქმიანობა თუ ისინი არატრადიციულ რელიგიურ ორგანიზაციებს ქმნიან, შეზღუდულია რეგისტრაციის პროცედურითა და თავიანთი ბეჭდვითი აუდიო მასალის გავრცელების სფეროთი.[10.]

*ბელორუსიის* კონსტიტუციის მე-16 მუხლით სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა რეგულირდება კანონით, იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენა მოახდინეს მათ ბელორუსი ხალხის სულიერ, კულტურულ და სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე. ამასთან ერთად, კონსტიტუცია კრძალავს რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობას, თუ მისი საქმიანობა ბელორუსიის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მის სახელმწიფოებრივ წყობას ან სამოქალაქო თანხმობას ხელყოფს, აგრეთვე ხელს უშლის მოქალაქეებს სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, საოჯახო ვალდებულებათა შესრულებაში ან ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას და მორალს. კონსტიტუციის ეს მოდელი სახელმწიფო რელიგიის მოდელს უახლოვდება, მაგრამ კანონი „ალმსარებლობისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ" ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო რელიგიის პრინციპების დაცვას, რად-

გან მასში არაფერია ნათქვამი ადამიანთა ცნობიერების სხვა არა-ტრადიციული რელიგიური სწავლების ზეგავლენისაგან დაცვაზე. ეს კანონი აღმსარებლობის თავისუფლებისა და თანასწორობის აბსოლუტიზაციის საფუძველზეა აგებული და შესაბამისად, კონს-ტიტუციის აღნიშნულ მუხლს ეწინააღმდეგება.

*თურქმენეთში,* ისევე როგორც *ყაზახეთში,* მიღებულია კა-ნონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ. მთავრობა მნიშვნელო-ვან კონტროლს აწესებს რელიგიურ საქმიანობასა და ორგანიზა-ციებზე. რეგისტრაცია, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, გაია-რეს მხოლოდ მუსლიმმა სუნიტებმა და მართლმადიდებელმა ქრის-ტიანებმა. არარეგისტრირებულ ორგანიზაციებად ითვლებიან ბაჰა-ისტები, ბაპტისტები, ადვენტისტები, ორმოცდაათიანელები. მათი რელიგიური საქმიანობა კერძო საქმიანობას წარმოადგენს და სა-ხელმწიფოსაგან რაიმე შეღავათებით არ სარგებლობენ.

ასე რომ, პოსტსაბჭოთა სივრცის კანონმდებლობა სახელმ-წიფოსა და რელიგის ურთიერთობის სფეროში ფორმირების პრო-ცესშია. აქ ერთმანეთს უპირისპირდება რელიგიური თავისუფლე-ბის „ამერიკული" და „ევროპული" მოდელები. ისტორიული ტრა-დიციებიდან გამომდინარე, ეს ქვეყნები ეროვნულ კანონმდებლობას ევროპული მოდელის მიხედვით აყალიბებდნენ. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონის მი-ღებით, სადაც რელიგიური ორგანიზაციებისათვის თანასწორობის აღიარებასთან ერთად დადგენილია ორგანიზაციის რეგისტრაციის წესი. ეს მექანიზმი, ძირითადად, პრაქტიკულ გამოცდილებაზეა აგებული, რაც გამორიცხავს (ან შეაჩერებს) მომრავლებული სექ-ტების ქადაგებას და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას რელი-გიური თავისუფლების ეგიდით. ამასთან, გაითვალისწინებს ტრა-დიციული ეკლესიების როლს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში.

## კარი VI.

# რელიგიური თავისუფლების შეფასება (მომხრეები და მოწინააღმდეგეები)

რელიგიური თავისუფლების პრინციპის დაცვა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კონსტიტუციური პრინციპია. დღესდღეობით 144 სახელმწიფო წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის მონაწილეს, რომელიც აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას საკუთარი არჩევანით მიიღოს ან იქადაგოს რომელიმე რელიგია, ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად საჯაროდ ან კერძოდ გამოხატოს თავისი მრწამსი ღვთისმსახურებისა თუ რელიგიური პრაქტიკის შესახებ.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება არ მიმართონ დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნის მიხედვით. რელიგიური თავისუფლების შესახებ სახელმწიფოთა მიერ გატარებული პოლიტიკა და ეროვნული კანონმდებლობების შეფასება ორი მიმართულებით განვითარდა: „ამერიკული მიდგომა" და „ევროპული მიდგომა".

აშშ-ის კონგრესისათვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 1999 წელს წარდგენილ მოხსენებაში „მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რელიგიური თავისუფლების შესახებ" აღნიშნულია:

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რელიგიური თავისუფლების დაცვის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ინსტრუმენტები, ზოგიერთ ქვეყანაში მაინც შეინიშნება სიტყვასა და რეალურ სიტუაციას შორის მნიშვნელოვანი ზღვარი. უმეტეს სახელმწიფოებში რელიგიის თავისუფლება შეზღუდულია ან არ არსებობს. მოხსენების ავტორები ამ ზღვარს სხვადასხვა მასშტაბებით წარმოაჩენენ. ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნები ინარჩუნებენ მოქალაქეთა აზრებსა და შეხედულებებზე, ანუ სხვაგვარად მოაზროვნეებზე, კონტროლის მექანიზმებს. ასეთ სახელმწიფოებში მიაჩნიათ, რომ ახალი რელიგიები საფრთხეს უქმ-

ნის დომინირებულ იდეოლოგიას და რელიგიურ უმცირესობათა მიმართ მტრული განწყობა ინერგება (ავღანეთი, ჩინეთი, კუბა, ირანი, ერაყი, ლაოსი). ზოგიერთი ქვეყანა რელიგიაზე კონტროლის ღონისძიებათა პროგრამის რეალიზაციას ამოცანად არ ისახავს, მაგრამ მიმართავს გარკვეული რელიგიების დაშინების, მათი სხვა რელიგიაზე გადასვლის, ან ქვეყნის დატოვების პოლიტიკას (პაკისტანი, საუდის არაბეთი, სერბია, სუდანი).

მათგან განსხვავებით, არც დემოკრატიულ ქვეყნებშია ერთნაირი მდგომარეობა. დემოკრატიის განვითარების გზაზე ზოგიერთმა სახელმწიფომ რელიგიის თავისუფლების სფეროში ისეთი პოლიტიკა და კანონმდებლობა აირჩია, რაც ერთ რელიგიას უპირატესობას ანიჭებს სხვებთან შედარებით. ასეთ ქვეყნებში განხორციელებული პოლიტიკის შედეგად რელიგიური უმცირესობები გაიგივებულია საშიშ „სექტებსა" და „კულტებთან". მართალია, ამ ქვეყნებში რელიგია გააზრებულია ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების პოზიციებიდან, მაგრამ, მოხსენების ავტორთა აზრით, ტრადიცია და კულტურა არ შეიძლება გახდეს რელიგიური მრწამსისა და მისი გამოვლენის ლეგიტიმური ფორმების შემზღუდველი კანონმდებლობისა და პოლიტიკის გატარების საფუძველი (უზბეკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, რუსეთი...).

საერთაშორისო კონვენციებიდან გამომდინარე, სამართლებრივი შეზღუდვები საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ადამიანთა ჯანმრთელობისა და მორალური ღირებულებების დაცვის მიზნით, პრაქტიკულად რაც შეიძლება მინიმალურ მაშტაბებში უნდა განხორციელდეს, რათა საქმე არ მივიდეს სხვა რელიგიების დისკრიმინაციამდე.[11.]

მოხსენების ავტორები რელიგიური ჯგუფების რეგისტრაციის პრაქტიკას მანამ, ვიდრე მათ ასეთი საქმიანობა არ განუხორციელებიათ, უარყოფითად აფასებენ, რადგან ეს ადგილობრივი იურისდიქციის მხრიდან არამართლზომიერი წინააღმდეგობის საფუძველი ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში მისაღებია ხელისუფლების შეშფოთება ახალი რელიგიური ჯგუფების მიერ ანტისაზოგადოებრივი და უკანონო ქმედებისათვის, მაგრამ მათი საქმიანობა არ უნდა იქნეს შეფასებული როგორც საზოგადოებრივად საშიში,

მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და მორალური ღირებულებების წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

ამერიკული მიდგომისაგან განსხვავებით, რელიგიური თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის შეფასების განსხვავებული პრინციპები იქნა გამოყენებული ევროპის სახელმწიფოებში. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა ყურადღება გაამახვილეს ახალი კულტების მომრავლებაზე. 1997 წლის მონაცემებით ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცის და შვეიცარიის კანტონ ჟენევის პარლამენტებმა მოისმინეს მოხსენებები ახალი კულტების, რელიგიებისა და ტრადიციული რელიგიების ცალკეული ელემენტების შესახებ.

საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენელთა მოხსენებებში რელიგიური ჯგუფების დახასიათებისათვის გამოყენებულია ტერმინი „სექტა" ან „კულტი". ფრანგული ტერმინი „secte", ტრადიციული თვალსაზრისით, ამა თუ იმ რელიგიაში ერთი რომელიმე დოქტრინის მიმდევარ ორგანიზებულ პირთა ჯგუფს ნიშნავს. მის ახლო მდგომ ეკვივალენტს ინგლისურ ენაში წარმოადგენს „კულტი". ამ ტერმინმა თანამედროვე გაგებით ნეგატიური შინაარსი შეიძინა და იმ ჯგუფის აღმნიშვნელი გახდა, რომელთაც ანტისახელმწიფოებრივი, ანტისაზოგადოებრივი, პიროვნების ჯანმრთელობის ან მორალის საწინააღმდეგო ქცევის წესები გაითვალისწინეს თავიანთ დოქტრინაში. გერმანიის პარლამენტის 1997 წლის მოხსენებაში გაზიარებულია საფრანგეთისა და შვეიცის საპარლამენტო შეფასებები, თუმცა ხაზგასმულია, რომ ახალი რელიგიური მოძრაობები საზოგადოებისათვის საშიშროებას არ წარმოადგენენ, ხოლო მათი საქმიანობა პოლიტიკური შეშფოთების საფუძველს არ იძლევა. მიუხედავად ამისა, გერმანიის საპარლამენტო მოხსენებაში მიზანშეწონილადაა მიჩნეული სახელმწიფოსაგან რელიგიურ ორგანიზაციებზე შემდგომი ზედამხედველობა.

ახალი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაზე რეაგირებისათვის ავსტრიის, ბელგიისა და საფრანგეთის ხელისუფლებებმა მიიღეს ახალი კანონები ან შექმნეს უწყებათაშორისი კომისიები აღნიშნულ ჯგუფებთან მუშაობისათვის. ამ კომისიათა მოვალეობებში შედის სექტების საქმიანობის მონიტორინგი, უკანონო ან

საზიანო პრაქტიკის განმახორციელებელ ჯგუფებთან ბრძოლა და სექტების წინააღმდეგ მთავრობათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია.

აშშ ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში აყალიბებს დამოუკიდებელ პოლიტიკას რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტების დაცვის თაობაზე. ამ პოლიტიკის განხორციელების ორგანიზაციულ საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების ბიურო, რომლის ხელმძღვანელი პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის მრჩეველია. მისი ფუნქციაა რელიგიური თავისუფლების სფეროში ამერიკის პოლიტიკის ინტეგრაცია დიპლომატიური სამსახურების მეშვეობით. სწორედ ისაა პასუხისმგებელი, ყოველწლიურად წარუდგინოს მოხსენება კონგრესს საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების მდგომარეობაზე. ასეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას საფუძველი ჩაუყარა სენატის მიერ 1998 წლის ოქტომბერში მიღებულმა კანონმა „საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების შესახებ". ამ აქტის საფუძველზე ამერიკის ელჩები დელიკატურად ერევიან შიდასახელმწიფოებრივი პროცესების განხილვაში, ხვდებიან მთავრობისა და პარლამენტის წევრებს, რელიგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აწყობენ კონფერენციებსა და მიღებული ცნობებიდან ადგენენ ყოველწლიურ მოხსენებას საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების ბიუროსათვის, რომელიც, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანალოგიურ საკითხებზე სახელმწიფოს შიგნით მონაცემებს იღებს იუსტიციის სამინისტროსა და იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურიდან და მოხსენებას აგზავნის კონგრესში.

მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმე შემთხვევას: ავსტრიაში ამერიკის ელჩი შეხვდა მთავრობის წარმომადგენლებს, პარლამენტარებს და გამოხატა აშშ-ის შეშფოთება რელიგიის შესახებ ახალ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. მან წერილობითაც მიმართა ავსტრიის პრეზიდენტს; აზერბაიჯანში ელჩი დაბეჯითებით მოითხოვდა კავკასიის მუსლიმ ლიდერებთან შეხვედრას, რელიგიური თავისუფლების მოვალეობის მხარდაჭერის შეხსენებისათვის; რუსეთში აშშ-ის ელჩი რეგულარულად წამოსწევს რელიგიის სა-

კითხს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან შეხვედრებში; ისრაელში აშშ-ის ელჩი სამუშაო წესით შეხვდა იუდეველთა, ქრისტიანთა, მუსლიმთა და ბახაისტთა ლიდერებს სხვადასხვა დონეზე, თურქეთში აშშ-ის გენერალურ კონსულს მჭიდრო კავშირი აქვს ეკუმენისტურ საპატრიარქოსა და სხვა რელიგიურ უმცირესობებთან და ა.შ.

ამერიკის ამგვარ დამოკიდებულებასა და შეფასებას ევროპის უმეტეს ქვეყნებში ამერიკულ ექსპანსიად მიიჩნევენ. მაგალითად, ნინა იანოვა „ნაროდნაია გაზეტას" 2000 წლის აპრილის ნომერში (№7-4) წერს: არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში მილიარდობით ამერიკული დოლარი შემოვიდა მისიონერთა დასაფინანსებლად და ქადაგების მოსამზადებლად, რელიგიურ-მისტიკური ლიტერატურის გამოსაცემად, აშშ-ის მსოფლიო იდეოლოგიური ექსპანსიის ჩარჩოებში. ამასთან, მათ ქრისტიანული განათლების პროპაგანდა დაიწყეს იმ ქვეყნებში, რომელთაც ათასწლიანი ისტორია აქვთ ამ სფეროში. ასეთ განმანათლებლებად მოევლინენ არა შედარებით განვითარებული პროტესტანტული კონფესიები (ლუთერანული, ანგლიკანური, კალვინისტური), არამედ ყველაზე პრიმიტიული ამერიკული სექტის წარმომადგენლები.[12.]

რელიგიური ექსპანსიის მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ სუვერენულ სახელმწიფოებს თავის დაცვის უფლება აქვთ, მათ შორის რელიგიის სფეროში. სხვაგვარი მიდგომა დემოკრატიული თავის მოტყუებაა და ამგვარი დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის რელიგიურ ცნობიერებაზე აშშ-ის მონოპოლიური ზემოქმედების განხორციელებისას. ევროპის უმეტესი სახელმწიფოები ასეთი დაცვის მექანიზმს ეროვნულ კანონმდებლობაში საკუთარი ხალხის ტრადიციებსა და სულზე პასუხისმგებელი ეკლესიისადმი მხარდამჭერი ნორმების შეტანით უზრუნველყოფენ.

ევროპული მიდგომა გულისხმობს, რომ რელიგიური თავისუფლება, როგორც საზოგადოებრივი უფლება, შეიძლება შეიზღუდოს ამა თუ იმ რელიგიური ორგანიზაციების ისტორიული როლისა და კულტურის, ასევე საზოგადოების განვითარებაში მისი

ადგილის გათვალისწინებით. ამ პოსტულატის გასამყარებლად ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, ბელგია) დაიწყეს ტოტალიტარული სექტების სოციალურ-ფსიქოლოგიური შესწავლა და გამოიკვეთა ტოტალიტარული სექტების საქმიანობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

— ტრადიციული რელიგიებისაგან განსხვავებული მრწამსის ქადაგება;

— სხვა რელიგიების მკვეთრი კრიტიკა;

— ქარიზმატული ლიდერის არსებობა, რომელიც მქადაგებლად და სექტის ძირითად ადმინისტრატორად ითვლება;

— აქტიური მისიონერული საქმიანობა, მათ შორის ქუჩაში, მოქალაქეთა დასვენებისა და სამუშაო ადგილებზე საუბრები, რელიგიური ლიტერატურის გავრცელება, ელექტრონული მასმედიით სექტანტური პროგრამების გავრცელება;

— მასობრივი ღონისძიებების ჩატარება პოტენციურ მორწმუნეთა მიმხრობის მიზნით;

— განსაკუთრებული მზრუნველობა და „სიყვარულით შეტევა" (ეს ტერმინი მიღებულია დასავლურ რელიგიათმცოდნეობის ლიტერატურაში) სექტაში ახალმისულებზე;

— განსაკუთრებული ფსიქო-ტრენინგის, თვითშეგნების მეთოდების, ჰიპნოზის, ნარკოტიკების და სხვა მეთოდების გამოყენება მორწმუნის ცნობიერების სწრაფი დეფორმაციისათვის;

— მოდერნისტული მეთოდები (თანამედროვე მუსიკა, ცეკვები, დისკუსიები, საკულტო საგნებისა და ტანსაცმლის ტარების მოთხოვნა);

— მკაცრი რელიგიური დისციპლინის დაცვა, ოჯახთან და მშობლებთან განშორების აუცილებლობის დეკლარირება, სწავლის ან სამუშაოს მიტოვების მოთხოვნა;

— სამოქალაქო და კონსტიტუციური ვალდებულებების შეუსრულებლობისაკენ მოწოდება (სამხედრო სამსახური, სასამართლო ენა და ა.შ.);

— კანონისა და ხელისუფლებისადმი მორჩილების მოჩვენებითი დეკლარირება;

– სახელმწიფო მოხელეებთან კონტაქტი ხელისუფლებაში სექტის ინტერესების ლობირებისათვის;

– სექტიდან წასული პირების დევნა.

რა თქმა უნდა, ეს ჩამონათვალი სრულყოფილი არ არის, რადგან მთლიანად იდენტიფიცირებული არაა სატანისტთა ორგანიზაციები, ოკულტო-მისტიკური ჯგუფები და აგრეთვე ასტროლოგიის, უფოლოგიის, პარაფსიქოლოგიის და ა.შ. საფუძველზე შექმნილი კულტები (საიენტოლოგიური ეკლესია – დიანეტიკა, თეოსოფია, შტაინერის ანტროსოფია, აგნი იოგა, ტრანსცენდენტული მედიტაცია და ა.შ.).

სექტებისათვის საერთოა ადამიანზე ზეგავლენის და მათი შენარჩუნების ფორმები, რომელთაც ერთი და იგივე შედეგი მოაქვთ – პიროვნების სრული დეზორიენტაცია, მისი ცხოვრებისეული ორიენტირებისა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ღირებულებების დაკარგვა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ადამიანი, რომელიც ტოტალური სექტის გავლენის ქვეშ ექცევა, კარგავს კავშირს ტრადიციას, კულტურასა და, საერთოდ, ყოველივე პოზიტიურთან, რაც მისი ხალხის ისტორიაშია გაცნობიერებული, ე.ი. ირღვევა პიროვნების სოციალური კავშირები და იგი „ვარდება" საზოგადოებიდან. შედეგი ძალზე მძიმეა: სექტის წევრის რეაბილიტაციას 2-დან 5-წლამდე ვადა სჭირდება.

სექტებთან სამართლებრივი მეთოდებით ბრძოლა საკმაოდ რთულია. პირველ რიგში იმიტომ, რომ ხელმძღვანელი უარეს შემთხვევაში არაქმედუნარიანი შეიძლება აღმოჩნდეს, უკეთეს შემთხვევაში – არასრულფასოვანი და კომპლექსებით აღსავსე, რომელსაც შეუძლია ამტკიცოს საკუთარი „მეს" განდიდების მეცნიერული საფუძვლები. მეორეც, სექტის ხელმძღვანელები (გურუ, მასწავლებელი...) ძალიან ხშირად აპელირებას კანონმდებლობაზე აკეთებენ, ამტკიცებენ რა, რომ ისინი კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ სჩადიან და მათი თავისუფლება კანონითაა გარანტირებული, ანუ გარეგნული ნიშნების მიხედვით რელიგიური თავისუფლების ხელოვნურ ბალანსირებას ახდენენ და ამით საერთაშორისო მხარდაჭერას ელიან. შედეგი: ასეთი მხარდაჭერით არაფერი არ იქმნება ახალი სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში.

სამაგიეროდ, ეცემა სახელმწიფოს ავტორიტეტი რელიგიური თავისუფლების სფეროში და ხდება ქარიზმატული ლიდერის პოპულარიზაცია, რომელიც მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ქვეყნების ინტერესების გამტარებელი ხდება სახელმწიფოში. ამიტომ, პროფილაქტიკის საშუალებად ბევრად ეფექტურია პიროვნების შთაგონება, მისი ადგილისა და არა კანონმდებლობის გზით აკრძალვათა მთელი სისტემის შექმნა, რაც, უმეტეს შემთხვევაში, უკუეფექტს იძლევა.

სინდისის თავისუფლების სამართლებრივი რეგულირების სფეროში ცნობილი ამერიკელი მკვლევარი კოლ დიურჰამი მსოფლიოში რელიგიური თავისუფლების ღირებულებათა გავრცელების პერსპექტივების შეფასებისას ბოლო ათწლეულში თანამედროვე ცივილიზაციებსა და სხვადასხვა რელიგიურ ტრადიციებს შორის მიმდინარე პროცესებს ახასიათებს როგორც უკიდურესად დაძაბულს. იგივე თეზისია ინტერპრეტირებული ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დოქტორ ბახია ტახზიბლის (ნიდერლანდები) და პროფესორ როდიგერ ჰულის (შვეიცარია) შეფასებებში, რომელთაც რელიგიური თავისუფლების საერთაშორისოსამართლებრივი პრინციპები შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში ისტორიული და ტრადიციული განხილვის დონეზე გადააქვთ.[14.]

ამ შეფასებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ არ არის დადგენილი რელიგიური თავისუფლების შეფასების ერთიანი კრიტერიუმები და მეთოდი. ამერიკული მიდგომა რელიგიურ თავისუფლებაში ინდივიდუალურ უფლებას გულისხმობს და არა საზოგადოებრივს. ამიტომ კანონმდებლობა უშვებს თავისუფალ აღმსარებლობას, ე.ი. ყველას (ინდივიდუალურ) თანასწორობას კანონის წინაშე და ყველა რელიგიური ორგანიზაციის (საზოგადოებრივი) თანასწორუფლებიანობას.

ევროპული მიდგომა ერთმანეთისგან ასხვავებს რელიგიურ თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურსა და როგორც საზოგადოებრივ უფლებას. ამიტომ, თანასწორობა არ არის გაიგივებული თანასწორუფლებიანობასთან. კანონის წინაშე ყველა ინდივიდისა და რელიგიური ორგანიზაციის თანასწორობას თან ახლავს განსხვავებული უფლებები, რაც მათ მიერ საზოგადოებრივი ამოცანე-

ბის განხორციელებისას დგინდება. რელიგიური ორგანიზაციებისათვის ასეთი უფლების დაწესება იმასთან კი არ არის დაკავშირებული ისინი საზოგადოებრივ ამოცანებს ცუდად ასრულებენ თუ კარგად, არამედ იმ კონკრეტულ ფაქტორებთან, რაც მას დამოუკიდებელ სუბიექტად აქცევს. ესენია: აღმსარებლობის ისტორიულობა, ტრადიციები, შემადგენლობა, როლი სახელმწიფოს კულტურულ-სოციალურ განვითარებაში და ამა თუ იმ სახელმწიფოსთან ადაპტირება სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით.

რელიგიური თავისუფლების შეფასებისას უნდა გამომუშავდეს ერთიანი კრიტერიუმები: 1. დადგინდეს რელიგიური ორგანიზაციის ცნება, რათა გამოირიცხოს ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სექტებისა და კულტების ტრადიციულ რელიგიებთან თანასწორობის პრეტენზია. 2. ერთმანეთისგან გაიმიჯნოს რელიგიური თავისუფლება როგორც ინდივიდუალური და როგორც საზოგადოებრივი უფლება. ინდივიდუალური უფლება თანასწორობის საფუძველზეა აგებული, საზოგადოებრივი უფლება — თანასწორუფლებიანობის. ამიტომ, შეზღუდვები შეიძლება გავრცელდეს როგორც საზოგადოებრივ უფლებაზე და არა როგორც ინდივიდუალურ უფლებაზე. 3. განისაზღვროს სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციათა კოოპერაციის მასშტაბები ანუ ურთიერთთანამშრომლობის პრინციპები და შესაძლებლობები, რაც განსხვავებული უფლების დაწესების საფუძველი შეიძლება გახდეს.

რაც შეეხება შეფასების მეთოდებს, გამოყენებულ უნდა იქნეს ისტორიულ-შედარებითი, სოციოლოგიური შესწავლის, რელიგიური შემწყნარებლობისა და სხვა მეთოდები, რომლებიც რელიგიური თავისუფლების შიდასახელმწიფოებრივ რეგულირებას უზრუნველყოფს და არ დაუშვებს ამ საკითხის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის პოლიტიკის რანგში გადატანას.

## კარი VII.

# რელიგიური თავისუფლების პოლიტიკური და სამართლებრივი მოდელი საქართველოში

იმ ქვეყნების მსგავსად, რომელთაც რელიგიის თავისუფლება აღიარეს, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად:

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

კონსტიტუციით ასევე გარანტირებულია ყოველი ადამიანის თავისუფლება და კანონის წინაშე თანასწორობა განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა... (მუხ. 14).

კონსტიტუციის ეს დებულებები სრულ შესაბამისობაშია საერათაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებთან და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. მაგრამ რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისა და უფლებამოსილებათა განხორციელების გარანტიების შექმნის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა იმ ქვეყნების მსგავსი მოდელით ვითარდება, სადაც სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნასა და ტრადიციული რელიგიისათვის უპირატესობის მინიჭებაზეა საუბარი. კონსტიტუციის მე-9 მუხლით: სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებ-

ლობას სახელმწიფოსგან. კონსტიტუციის ამ მუხლმა განიცადა ცვლილება და დამატება, რომლის მიხედვით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა რეგულირდება კონსტიტუციური შეთანხმებით.[15.]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ როლზე სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში საეკლესიო მიწების სახაზინო მიწებად და საეკლესიო გლეხების სახელმწიფო გლეხებად გადაქცევამ, შემდეგ კი საბჭოთა პერიოდში საეკლესიო საკუთრების ნაციონალიზაციამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მთლიანად გამოაცალა ეკონომიკური საფუძველი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური ხელისუფლების ბოლო აკორდი საქართველოში სწორედ ამ საფუძვლის აღდგენა იყო. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის №183 დადგენილებით „რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ" რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა და მათი მოძრავ-უძრავი ქონება გამოცხადდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად. ამასთან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს უფლება მიეცა დამოუკიდებლად, დამკვიდრებული საეკლესიო ტრადიციების შესაბამისად განახორციელოს საქართველოში არსებული მართლმადიდებელი ეკლესიების, მათი ქონებისა და სახსრების აღრიცხვა. ამის შემდეგ სახელმწიფო მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობებს კონკრეტულ ქმედებებში გამოხატავდა. მაგალითად, 1997 წლის 6 ივლისის №267 საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა პირველი კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული კორპუსი. საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 თებერვლის კანონით „საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს პარლამენტმა დაადგინა, რომ საქართველოს საპატრიარქო (ეკლესიის მსახურნი, სასულიერო სასწავლებლები და სხვა), საპატრიარქოს მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები, სა-

ეკლესიო დანიშნულების საგნების მწარმოებელი საწარმოები გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟისაგან, სავალუტო და საშემოსავლო გადასახადებისაგან.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალური ეკლესიაა. მას ცენტრი საქართველოში გააჩნია საპატრიარქოს სახით. ამიტომ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ კეთილი ნების გამოხატვა კი არ არის, არამედ მისი, როგორც რელიგიური ორგანიზაციის, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ვალდებულებაცაა.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის შეთანხმებით უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება მისი იურიდიული სტატუსი.

ვიდრე ხელშეკრულების შინაარსზე ვისაუბრებდეთ, ცოტა რამ თვით ხელშეკრულების იურიდიული ბუნების თაობაზე.

შეთანხმება, პირველ ყოვლისა, აღიარების აქტია. აღიარება იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოსაგან გამიჯნულია და საჯარო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია, მას სახელმწიფოსა და თვითმმართველობასთან ერთად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის რეგულირების სფეროში არ აქცევს. ხელშეკრულება, თავისი შინაარსით, ისეთი ძალის მქონე აქტია, რომელიც ნორმატიული აქტების იერარქიაში კონსტიტუციის შემდეგ იკავებს ადგილს, გარკვეულწილად, კონსტიტუციის მე-9 მუხლის გაგრძელებაა, მისი დაზუსტება და გაშლაა და, ამიტომ, კონსტიტუციურ ხელშეკრულებას წარმოადგენს. კონსტიტუციური შეთანხმება სამართლის თეორიაში უცხო არ არის (მაგალითად, ცნობილია უკრაინაში სახელმწიფოს პრეზიდენტსა და წარმომადგენლობით ორგანოს შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე).

ბევრად უფრო დამკვიდრებულია კონსტიტუციური კანონის ცნება, რომელიც ასევე კონსტიტუციის გაგრძელებას წარმოადგენს. მაგრამ, თუ კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციური ურ-

თიერთობის სუბიექტთა სამართლებრივ მდგომარეობასა და მათ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს, კონსტიტუციური შეთანხმება კონსტიტუციურად ურთიერთგამიჯნულ სუბიექტებს შორის საერთო ინტერესების მქონე საკითხების რეგულირებას ემსახურება.

ხელშეკრულებით დეკლარაციულ და ნორმატიულ დონეზე განისაზღვრება სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობის პრინციპები, რომლებიც ორმხრივი ინტერესების მქონე საკითხებზე სხვა შეთანხმებების დადების საფუძველი შეიძლება გახდეს. სახელმწიფო უზრუნველყოფს მართლმადიდებლური რწმენის, აღმსარებლობისა და რიტუალების საჯაროდ აღსრულების საკანონმდებლო დაცვას. მართლმადიდებელი ეკლესიის საჯარო სამართლის სუბიექტის სტატუსი არ ნიშნავს მოქმედი კანონმდებლობით საეკლესიო და საჯარო სამსახურის ერთმანეთთან გაიგივებას. საჯარო სამსახურის შესახებ ნორმები საეკლესიო სამსახურში უშუალოდ გამოყენებას არ ჰპოვებს. მართლმადიდებელი ეკლესია მხოლოდ მისი ძირითადი პრინციპების შესრულების ვალდებულებას კისრულობს. მხარეებმა შეიძლება დამატებით იმსჯელონ, რომ პირის საეკლესიოდან საჯარო სამსახურში გადასვლამ და პირიქით, გაუთვალისწინებელი ზიანი არ გამოიწვიოს.

სახელმწიფომ უნდა იკისროს კომუნისტური რეჟიმის დროს ეკლესიისათვის ჩამორთმეული მატერიალური ქონების უკან დაბრუნების ვალდებულება. ამ ვალდებულების შესრულება დაეფუძნება პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი კომისიის დასკვნას, რომელიც შეისწავლის ეკლესიის საკუთრების ფაქტობრივ მდგომარეობასა და იურიდიულ ასპექტებს, რათა არ დაირღვეს სხვა პირთა უფლებებიც, რომელთა კანონიერ მფლობელობაშიც იმყოფება ეკლესიისათვის ჩამორთმეული მატერიალური ქონების ნაწილი.

საქართველოს საპატრიარქო თავის ფუნქციებს ასრულებს კანონიკური სამართლის ნორმებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. ეს დებულება გულისხმობს, რომ, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, საპატრიარქოს გარანტირებული აქვს ორგანიზაციული თავისუფლება (საქართველოს საპატრიარქოს ტერიტო-

რიულ-ორგანიზაციული წყობა, ეპარქიების საზღვრების დადგენა და შეცვლა), თავისუფლება საეკლესიო რიტუალების, მოძღვრებისა და ღვთისმსახურების აღსრულებაში. ამ საკითხებს საპატრიარქო დამოუკიდებელი იურისდიქციის ფარგლებში ახორციელებს, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და სახელმწიფოში მოქმედ სამართლებრივ პრინციპებს. საჯაროსამართლებრივ ფუნქციებს საქართველოს საპატრიარქო ასრულებს შეთანხმებითა და საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამიტომ, ორმხრივი ინტერესების მქონე საკითხებზე ნორმატიული აქტების პროექტები შეთანხმებისათვის მიეწოდება საქართველოს საპატრიარქოს. პროექტის შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნორმატიული აქტის მიღების პროცედურაში რაიმე განსაკუთრებული წესის დადგენა შეუძლებელია (ბრიტანეთის, დანიის და სხვა ქვეყნის მაგალითები).

სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოების დაცვას. საეკლესიო პირი ვალდებულია სასამართლოს ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელს არ მისცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც მოძღვარს, გაანდეს ან ცნობილი გახდა ღვთისმსახურების აღსრულებით.

სახელმწიფო საქართველოს საპატრიარქოს ანიჭებს შესაძლებლობას სახელმწიფო საავდმყოფოებში, თავშესაფრებში სასჯელაღსრულების და სხვა დაწესებულებებში განახორციელოს ღვთისმსახურება და სხვაგვარი სასულიერო რიტუალი. ამ ამოცანების სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მზრუნველობის ფორმით განხორციელებისას საჭიროა ამ დაწესებულებისა და საპატრიარქოს დამატებითი შეთანხმება.

მღვდლები, დიაკვნები და სხვა საეკლესიო პირები, რომელთაც დადებული აქვთ აღთქმა, უფლება აქვთ თავიანთი თხოვნით გათავისუფლდნენ სამხედრო სამსახურიდან და შეასრულონ ალტერნატიული სამსახური. საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში, სასულიერო პირები, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავებულნი სულზე მზრუნველობით, გამოძახებულნი იქნებიან ღვთისმსახურების აღსასრულებლად ჯარის ნაწილებში ან სანიტარიული სამსახურისათვის.

სახელმწიფო აღიარებს საეკლესიო სამართლის ნორმებით განხორციელებულ ქორწინების სამოქალაქო შედეგებს იმ შემთხვევაში, თუ ეს აქტი რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში. ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს იუსტიციის სამინისტროსა და საპატრიარქოს შორის, რომელიც განსაზღვრავს საპატრიარქოს ვალდებულებას განუმარტონ მექორწინეებს, სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ქორწინების პირობების არარსებობის შემთხვევაში, მათი ჯვრისწერის სამოქალაქო რეგისტრაციის შეუძლებლობის შესახებ. გარდა ამისა, დამატებითი შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ვადები და სასულიერო პირის ვალდებულება ჯვრისწერის მონაცემების სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსათვის მიწოდების თაობაზე. სახელმწიფომ, თავის მხრივ, ასეთი ფორმით ჩატარებულ ქორწინებაზე შეიძლება გაავრცელოს სამოქალაქო შედეგები ჯვრისწერის მომენტიდან (თუნდაც საროს ორგანომ რაიმე მიზეზის გამო ვერ განახორციელოს რეგისტრაცია მითითებულ ვადაში).

განათლების საკითხებთან დაკავშირებით ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ნებისმიერი საფეხურისა და კატეგორიის სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თავისუფალი შექმნის უფლება, რომლებიც საჯარო სასწავლებლების შესაბამისი საფეხურის თანაბარი უფლებებით ისარგებლებენ და დაიცავენ განათლების სფეროში არსებულ კანონმდებლობას. ასევე, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში ფაკულტატურული საგნის სახით მართლმადიდებლური ქრისტიანული საფუძვლების (საღვთო სჯულის) სწავლებას. მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სასწავლო პროგრამასა და მასწავლებელთა კანდიდატურებს განსაზღვრავს განათლების სამინისტრო საქართველოს საპატრიარქოს წარდგინებით.

საუნივერსიტეტო დაწესებულებები (სასულიერო აკადემიები, თეოლოგიური უმაღლესი სასწავლებლები), რომლებიც მოწყობილნი არიან კანონიკური სამართლის შესაბამისად, მხოლოდ ეკლესიის ხელმძღვანელობას ექვემდებარებიან. ამ ინსტიტუტებში რე-

ლიგიური პროფილის პროფესორ-მასწავლებელთა დანიშვნა დამოკიდებულია საქართველოს საპატრიარქოზე. სახელმწიფო აღიარებს ასეთი უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემულ საგანმანათლებლო სერტიფიკატებს, დიპლომებსა და მინიჭებულ აკადემიურ ხარისხებს.

საქართველო სცნობს რელიგიური კულტურის ღირებულებას, ითვალისწინებს მართლმადიდებლობის პრინციპების მნიშვნელობას ქართველი ხალხის ისტორიულ მემკვიდრეობაში და, აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო სფეროში კორპორაციული ურთიერთობების რეგულირებისათვის შეიძლება ცალკე შეთანხმება დაიდოს განათლების სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის.

სახელმწიფო აღიარებს ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის სულიერი ამაღლებისა და მისი ინტელექტუალური განვითარებისათვის გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციას და, ამიტომ, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება აკადემიური ტიტულების ურთიერთცნობის საკითხი.

სახელმწიფო და საქართველოს საპატრიარქო აღიარებენ შესაბამისი საბჭოების მიერ მინიჭებულ საერო და სასულიერო სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს. ამასთან, საქართველოში სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების ერთიანი სისტემის შენარჩუნების მიზნით, გელათის მეცნიერებათა და თბილისის სასულიერო აკადემიების მიერ მინიჭებული სამეცნიერო ტიტულების ნოსტრიფიკაციის საკითხებზე საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსა და საქართველოს საპატრიარქოს შესაბამის ორგანოს შორის გაფორმდება დამატებითი შეთანხმება.

სოციალური სფერო საეკლესიო ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ამ მიზნით საქართველოს საპატრიარქო ქმნის საეკლესიო და საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და ფონდებს, აგრეთვე უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს, მოხუცებულთა თავშესაფრებს, სხვადასხვა სპეციფიკურ სოციალურ და სამედიცინო დანიშნულების დაწესებულებებს, რომლებიც სარგებლობენ საეკლესიო საკუთრებით და ხელი შეეწყობათ სახელმწიფოსაგან კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

სახელმწიფო ზრუნავს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საჯაროსამართლებრივი ტელე- და რადიომაუწყებლობაში განსაზღვრული დროის გამოყოფის თაობაზე. საქართველოს საპატრიარქო აკონტროლებს გამოყოფილი დროის ფარგლებში ტელე- და რადიოქსელის ფუნქციონირების და პროგრამების შედგენის საკითხებს. მართლმადიდებელ ეკლესიას უფლება აქვს დაარსოს კერძო მაუწყებლობა და წილობრივი მონაწილეობა მიიღოს სხვებთან ერთად მათ შექმნაში.

ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს საეკლესიო საკუთრებისა და საეკლესიო დანიშნულების ნივთებისა და ფასეულობის არასაეკლესიო საკუთრებაში არსებობის სამართლებრივი რეჟიმები.

საქართველოს საპატრიარქოს საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. სახელმწიფოს მხრიდან დაუშვებელია საპატრიარქოს საკუთრების ჩამორთმევა. საპატრიარქო თავის ქონებას განკარგავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. მიწასთან დაკავშირებულ საკითხებზე პარიტეტულმა კომისიამ უნდა განიხილოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ შედგენილი საეკლესიო მიწების კადასტრი, რომელიც დამატებითი ოქმის სახით დაერთვება ხელშეკრულებას. ასე რომ, საეკლესიო დანიშნულების ობიექტები, საეკლესიო მიწების გარდა, შეიძლება აღმოჩნდეს სახელმწიფო ან კერძო მიწებზე. ამიტომ, შეთანხმებამ უნდა განასხვაოს ამ ობიექტებთან კორპორაციული ურთიერთობების განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმები.

სახელმწიფო მიწაზე განლაგებული საეკლესიო ან საქველმოქმედო მიზნებით გამოსაყენებელი სხვა საეკლესიო ნაგებობების დანიშნულებისამებრ გამოყენებას უზრუნველყოფს სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს ამ შენობების მოვლაზე კომუნალური სამშენებლო ვალდებულების ფარგლებში და იძლევა გარანტიას საეკლესიო შენობების საზოგადოებრივი დანიშნულების შენარჩუნებისათვის. საპატრიარქო უზრუნველყოფს შენობისა და ქონების დაცვას საეკლესიო კანონმდებლობით.

კერძო საკუთრების მიწებზე არსებული საეკლესიო ნაგებობების შესაბამის მდგომარეობაში შენახვაზე ვალდებულება მესაკუთრემ უნდა იკისროს. კერძო მესაკუთრეზე ასეთი ვალდებულე-

ბის დაკისრება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამომავლოდ სახელმწიფო მოცემული ვალდებულებებისათვის გაწეული ხარჯების კომპენსაციას (გარანტირებულად) მისცემს კერძო მესაკუთრეს. კომპეტენტურ საეკლესიო ინსტანციებთან შეთანხმებით მესაკუთრეს უფლება აქვს გაასხვისოს საეკლესიო და საქველმოქმედო მიზნებისათვის განკუთვნილი ნაგებობა. სახელმწიფო ეხმარება საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო დანიშნულების ნაგებობების შეძენის უპირატესი უფლების განხორციელებაში. კერძო საკუთრებაში არსებული საეკლესიო ნაგებობისა და მიწების გადაცემა საპატრიარქოსათვის განხორციელდება მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულებით, სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს საპატრიარქო და სახელმწიფო აღიარებენ ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვისთვის თანამშრომლობას. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ქვეყნის სულიერი და მატერიალური განვითარების მატიანე, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის წინაპირობაა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია. ჩვიდმეტსაუკუნოვანი ქრისტიანული რელიგიის ქვეყანაში რელიგიური ხასიათის მრავალი მატერიალური და არამატერიალური ობიექტი დამკვიდრდა, რომლის მიმართ საზოგადოებამ შეფასების პოზიცია გამოხატა და მას მნიშვნელოვანი როლი მიაკუთვნა ერის ცხოვრებაში. ასეთი ფასეულობანი (მათ შორის საკულტო დანიშნულების სიწმინდეები, წმინდა ნაწილები, რელიქვიები) საეკლესიო საგანძურს წარმოადგენენ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებათა მკაცრად განსაზღვრულ სისტემას საჭიროებენ, რაც მოვლა-პატრონობასა და მათი მომავალი თაობებისათვის გადაცემას უზრუნველყოფს. საქართველოს საპატრიარქო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მესაკუთრეა. ამ დებულებას „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონიც (I კარი, მუხლი 2, პუნქტი 3) აღიარებს.

აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს საპატრიარქოს ვალდებულებას

შეინახოს და დაიცვას მასზე მიკუთვნებული კულტურული ფასეულობანი. იგი ზრუნავს, რომ საეკლესიო დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა ეს მოვალეობა სათანადოდ განახორციელონ.

ხოლო სახელმწიფომ, თავის მხრივ, უნდა აღიაროს, რომ მუზეუმებში, ბიბლიოთეკებსა და სხვა საჯარო დაწესებულებში დაცულ იმ კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომელიც საეკლესიო საგანძურს წარმოადგენს, გაავრცელებს საღმრთო სამსახურისათვის ან ამგვარი კულტმსახურებისათვის საეკლესიო დანიშნულების უპირატესი გამოყენების უფლებას.

სახელმწიფო აღიარებს, რომ ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებისათვის უფლებამოსილების განსაზღვრისას საეკლესიო საკუთრებაში გადაცემული საეკლესიო საგანძურის მიმართ არ გაითვალისწინებს სანებართვო წესების, ნაპოვნის ამოღების, ექსპროპრიაციის მარეგულირებელი ნორმების დადგენას. საქართველოს საპატრიარქო ამ კატეგორიის ნივთებზე უფლებამოსილია გამოსცეს საკუთარი წესები ძეგლთა დაცვის კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებით.

პარიტეტულმა კომისიამ, შესაბამისად, უნდა დაადგინოს საეკლესიო საკუთრებში გადასაცემი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, სახელმწიფო მუზეუმებში, ბიბლიოთეკეში, არქივებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული საეკლესიო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობა.

სახელმწიფო უზრუნველყოფს არასახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საეკლესიო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის საგნებისა და ნივთების საქართველოს საპატრიარქოსათვის უპირატესი შეძენის უფლებას და დახმარებას უწევს მას. სახელმწიფოსა და საპატრიარქოს სახელით მართლმადიდებელი ეკლესიის მშენებლობის თუ რესტავრაციის პროექტებზე, ტაძრების მოხატვაზე, მართლმადიდებლური ხატების, ჯვრების, და სხვა საეკლესიო ნივთების დამზადებაზე ლოცვა-კურთხევასა და თანხმობას იძლევა საქართველოს საპატრიარქო.

ძეგლთა დაცვისათვის მართლმადიდებელი ეკლესია მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში. სახელმწიფო იძლევა გარანტიას, რომ მართლმადიდებელი ეკლესია მიიღებს დახ-

მარებას კულტურისა და ძეგლთა დაცვაზე მზრუნველი ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

საქართველოს საპატრიარქო ინარჩუნებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქრისტიანულ ნაგებობებსა და ნივთებს მათზე მოვლისა და ზრუნვის ვალდებულების გათვალისწინებით და უარს ამბობს სხვა ნაგებობებისა და ნივთების დასაკუთრებაზე.

საქართველოს საპატრიარქოს უფლება აქვს განახორციელოს სამეურნეო საქმიანობა კანონით დადგენილი წესით. სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირები გადასახადებისაგან არ თავისუფლდებიან.

საეკლესიო სასაფლაოები კომუნალური სასაფლაოების ანალოგიური სახელმწიფო დაცვით სარგებლობენ.

სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები და საქართველოს საპატრიარქო სისტემატურ კონსულტაციებს აწარმოებენ ორმხრივი ინტერესების მქონე საკითხებზე. სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ამ ვალდებულების განსახორციელებლად და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის გასაუმჯობესებლად საპატრიარქო ნიშნავს შესაბამისი თანამდებობის პირს, რომელიც პასუხისმგებელია მომავალში წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობის და ხელშეკრულებების ფორმულირების ინტერპრეტაციის ან გამოყენების თაობაზე მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისათვის გამოვიდეს საპატრიარქოს სახელით.

საქართველოს საპატრიარქო (მასში შემავალი ეპარქიები, ეკლესიები, სასულიერო სასწავლებლები) უფლებამოსილია თავისი წევრებისაგან მიიღოს შემოწირულობანი და სხვა ნებაყოფლობითი დახმარებანი. საპატრიარქოს მიერ შექმნილი არაკომერციული ორგანიზაციები თავისუფლდებიან ქონებისა და მიწის გადასახადებისაგან.

დაბოლოს, თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ აწესრიგებს რაიმე საკითხს, დაუშვებელია ანალოგიით მოქმედება. ამისათვის საჭიროა ცვლილებების ან დამატებების შეტანა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლების მიხედვით.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების ძირითადი მუხლების და მათი კომენტარების განხილვის შემდეგ შეუძლებელია არ შევჩერდეთ სხვა ორგანიზაციების სამართლებრივი რეგულირების პრობლემაზეც.

რელიგიურ ორგანიზაციებს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით უფლება აქვთ ჩამოყალიბდნენ კერძო სამართლის სუბიექტებად კავშირის ან ფონდის სახით. ასეთ შემთხვევაში მათზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლები. ამასთან, ამავე კოდექსის 150-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი საჯარო მიზნების მისაღწევად ითვალისწინებს კანონმდებლობის საფუძველზე რელიგიური გაერთიანების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ცალკე შეიძლება შემუშავდეს კანონი რელიგიური გაერთიანებების შესახებ, რომელიც დაადგენს რეგისტრაციის პრობლემებსა და წესს.

რადგანაც კონსტიტუციურად არ არსებობს სახელმწიფო რელიგია და საქართველოს საზოგადოება რელიგიური შეხედულებების მიხედვით მრავალფეროვანია, ამიტომ სახელმწიფოს არაკონფესიური ხასიათი უნდა გამოვლინდეს მათ მიმართ არა ინდიფერენტიზმში, არამედ თანამშრომლობაში. სწორედ ასეთი თანამშრომლობა გარკვეულ პირობებსა და წესებთან არის დაკავშირებული. კანონი, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური თავისუფლების, როგორც ინდივიდუალური უფლების, საერთო კონცეფციის გარანტია უნდა იყოს, რომ რელიგიური შეხედულებები არ შეიძლება გახდეს უთანასწორებისა და დისკრიმინაციის მიზეზი, აგრეთვე, რელიგიის საფუძველზე პირს არ შეიძლება შეუქმნან დაბრკოლება ნებისმიერი სამუშაოს შესრულებაში, საქმიანობის განხორციელებაში, თანამდებობათა დაკავებაში ან საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულებაში.

რელიგიური ორგანიზაციების საჯაროსამართლებრივი სტატუსი, ამასთან ერთად, გულისხმობს სახელმწიფოში დადგენილი წესების პატივისცემასა და მათი შესრულების მოვალეობას. ამიტომ, რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის უფლება შეიძ-

ლება შეიზღუდოს, თუ ამ ორგანიზაციის აღმსარებლობა და ქცევის წესები საფრთხეს უქმნის პირის ჯანმრთელობასა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას, ლახავს საზოგადოებრივ ზნეობას და არღვევს დადგენილ წესრიგს. აქ პრობლემატური იქნება ახალი მსოფლმხედველობის მქონე გაერთიანებებთან ურთიერთობა, რადგან რეგისტრაციის დროს უნდა დადგინდეს მათი მიზნები: რა არის მათთვის პირველადი — ქადაგება სამყაროსა და ცხოვრების წარმოშობის შესახებ, ადამიანის არსებობის აზრისა და მიზნის შესახებ, თუ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები? რელიგიური თავისუფლების ეგიდით ისეთი მცნებების ქადაგება, რაც უბიძგებს საზოგადოების წევრს ნებაყოფლობით უარი თქვას თავისი ჯანმრთელობის შენარჩუნებასა, ზნეობრივი ასპექტების დაცვასა და კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობების შესრულებაზე, ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი უნდა გახდეს, ანუ სახელმწიფო დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი უფლების განხორციელებას, რომელიც არღვევს სხვათა უფლებებს.

რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები დამოკიდებულნი არიან საკუთარ შემოსავლებსა და შემოწირულობებზე. შემონაწირი დაბეგვრას არ დაექვემდებარება. გარდა ამისა, სახელმწიფო მათ დახმარებას გაუწევს თავიანთი საკულტო ნაგებობებისა და საგნების, როგორც კულტურის ძეგლების, რესტავრაციაში.

არ არის გამორიცხული რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებთან ცალკეულ საკითხებზე ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობაც.

დაბოლოს, სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობის წარმოდგენილი მოდელი ევროპული მოდელის ერთ-ერთ სახეობად შეიძლება იქნეს განხილული, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით აღიარებულ რელიგიური თავისუფლების კონცეფციას, საქართველოს ისტორიას, კულტურულ წარსულსა და მოქმედ სამართლებრივ სისტემას. კანონმდებლობით რელიგიური ორგანიზაციების ბოჭვის სისტემების დაწესება ეხება რელიგიურ თავისუფლებას, როგორც საზოგადო-

ებრივ უფლებას, და არა როგორც ინდივიდუალურ უფლებას. ამ მოდელის მიხედვით გარანტირებულია რელიგიური ორგანიზაციის თანასწორობის პრინციპი კანონის წინაშე, რაც არ ნიშნავს თანასწორუფლებიანობას მათი მიზნების, საზოგადოებრივი ამოცანების განხორციელების, ისტორიული და კულტურული დანიშნულების და აღმსარებლობის მიმდევართა რაოდენობის გათვალისწინებით.

# *РЕЗЮМЕ*

«Государство и религия» – первая в грузинской юриспруденции публикация, которая посвящается созданию правовых гарантий религиозной свободы.

Представленная работа основывается на теоретический анализ концепции религиозного равенства, в ней рассмотрены международные модели взаимоотношения религии и государства, проанализированы законодательства разных стран в этой области. Основываясь на историко-культурные и статистические данные, автор формируст политическую и правовую модель свободы религии в Грузии.

Работа состоит из следующих параграфов:

– Что такое религиозная свобода?
– Законодательные гарантии религиозной свободы;
– Религиозные организации в Грузии;
– Исторические религии в Грузии;
– Религиозная ситуация в Грузии после 1990-го года;
– Современные модели взаимоотношений государства и церкви;
– Государство и религия в посткоммунистических странах;
– Оценка религиозной свободы (поддерживающие и противники);
– Политическая и правовая модель религиозной свободы в Грузии.

Религиозная свобода является не только индивидуальным, но и общественным правом. Соответственно, равенство каждого человека перед законом, по религиозному принципу, не означает равноправие религиозных организаций. С практической точки зрения, все религиозные группы по историческим, социальным, этническим и культурным основаниям не могут рассматриватся в одной плоскости. По этому законодательные гарантии религиозной свободы должны обеспечивать право индивида веровать или не веровать ту или иную

религию, принять или отказаться от участия в исповедании той или иной формы, не давать клятву против веры и т.д.

Определенные законодательные ограничения могут быть установлены в процессе реализации религиозного права, как коллективного права, если это необходимо для обеспечения общественной безопастности и государственного порядка, защиты здоровья и моральных потребностей других.

По истории религии и с точки зрения географии распространения, 70%-ов населения Грузии исповедует православное христианство. Христианство в Грузии было объявлено государственной религией с четвертого века. Традиционный характер имеют такие конфессии, как иудаизм, католицизм, ислам. Позднее, с XX века в Грузии появляются молоканы и духоборы, с первой половины XX века – баптисты, субботники, пятидесятники. С 90-х годов начинают распространяться направления свидетелей иеговы, евангелистов, кришнаидов и бахаистов.

В таких условиях становится необходимым создание правовых гарантий обеспечения, признанной Конституцией, религиозной свободы для религиозных организаций. Законодательство Грузии развивается по модели тех стран, где говорят о разграничении государства и церкви, и параллельно ведут беседу о приоритете традиционной религии.

Грузинское право вводит новое понятие – конституционное соглашение, которое признает Грузинскую православную церковь субъектом публичного права и определяет правила регулирования вопросов общего интереса государства и церкви. Церковь, как отграниченный от государства субъект, является самостоятельной в вопросах организационного устройства, в проведении церковных ритуалов и богослужении.

Корпоративные взаимоотношения между государством и церковью складываются в сферах просвещения, защиты культурного наследия, в социальной сфере.

Для обеспечения объязанности государства передать имущество церкви, создается паритетная комиссия, которая установит, какая часть церковных ценностей передастся церкви, а какая часть оста-нется во владении государства. В соответствии с этим, будут установлены соответствующие правовые режимы корпоративных взаимоотношений и учтены интересы частных собствёнников.

Государство не финансирует церковь, но обеспечивает защиту культурного наследия. Некоммерческие организации, созданные церковью освобождаются от налогов на имущество и землю.

Другие религиозные организации учреждаются субъектами частного права, в соответствии с гражданским кодексом Грузии. Для присвоения им статуса субъекта публичного права разрабатывается законопроект «О религиозных организациях». В соответствии с законопроектом, религиозные взгляды не могут быть основанием дискриминации личности. Право на регистрацию ограничивается, если вероисповедание и религиозные обряды организации создают угрозу здоровью человека, государственной безопастности и посягает на общественную нравственность. Зарегистрированные объединения существуют на собственные доходы и пожертвования, пожертвования не облагаются налогом. Кроме этого, государство оказывает им помощь в реставрации культурных сооружений и предметов – культурных памятников.

Эта модель не исключает возможности оформления договоров с другими конфессиями, но только не конституционных. Возможность оформления конституционного договора и круг субъектов определяются только Верховным Законом государства.

Представленная модель будет содействовать разграничению государства и церкви и созданию правовых гарантий регулирования корпоративных взаимоотношений.

# SUMMARY

"State and Religion" is the first publication in the Georgian science of law related to the legal saguarantees of the religious liberty.

The work is based on the theoretical analysis of the concept of religious equality, comparison of various international models of relations between the State and religion as well as the assessment of the foreign legislation and practices in this area. Based on the historical, cultural and statistical data, author of the work elaborates a political and legal model of the freedom of religion in Georgia.

The work comprises the following chapters:

- What is the freedom of religion?
- Legislative guarantees of the freedom of religion;
- Religious organisations in Georgia;
- Historical religions in Georgia;
- Developments related to the religion in Georgia since 1990;
- Modern models of relation between the Church and the State;
- State and religion in post-communist countries;
- Assessment of the freedom of religion (supporters and opponents);
- Political and legal model of the freedom of religion in Georgia.

Freedom of religion is not only an individual, but also a public (collective) right. Therefore, equality of all individuals before the law in respect to their right to religion does not necessarily mean the equality of religious organisations. From the practical point of view, one cannot consider all religious groups in one plane due to the historical, social, ethnic or cultural reasons. Consequently, legislative guarantees of the freedom of religion should ensure the

right of an individual to belong or not to belong to a religion, to consent or to deny the participation in religious services, etc. Some restrictions can be set to the exercise of the right to religion in the context of collective appreciation of this right, in the interest of public security, public order, protection of health and moral of others.

From the point of view of the history of religion and the geographical distribution 70% of Georgian population is Christian Orthodox. Christianity has been declared to be a State Religion of Georgia in 4th century A.D. Judaism, Catholicism and Islam are the other traditional type confessions. Since the 19th century Molokans and Dukhobors settled in Georgia, followed by Baptists, Subotniks and Pente costals from the 1st half of the 20th century. Since the nineteeth Jehovah's witnesses, Evangelists, Krishna and Bahai came to the scene.

Under these circumstances the necessity of providing the constitutionally recognised legal guarantees of the freedom of religion to the religious organisations comes on the agenda. The Georgian legislation develops in line with those foreign models, where the State and religion are separated and the traditional religion is given a priority.

A new notion is introduced to the Georgian law – a Constitutional Agreement (Coucordat), which grants the Georgian Orthodox Church the status of the entity of public law and determines the rules of regulation of the matters of common interest. As an entity separated from the state, the Church is free in deciding on its organisational matters, religious ceremonies and services.

Corporative partnership is launched between the State and the Church in educational and social spheres as well as the matters related to the protection of cultural heritage.

A Commission on the parity basis is established in order to ensure the obligation of transfer of property to the Church, which is to determine the part of the religious treasury that is to stay in the possession of the State, and the part that is to be transferred to the Church. On this basis respective legal regimes of the corporative interrelation will be established and the interests of private owners will be taken into account.

The State does not finance the Church, except for protection of the cultural heritage. Non-profit organisations of the Church are exempted from paying property and land taxes.

As far as the other religious organisations are concerned, the latter are allowed to take the form of the entity of private law pursuant to the provisions of the Civil Code. The bill on "Religious Organisations" is under preparation, which will enable them to receive the status of the public law entity. Under the bill, religious belief may not become a reason for a discrimination of a person. Right to registration is restricted in the principles and actions of the organisation represent a danger to the health of others, State order and breached upon the public moral. Registered entities depend on their incomes and donations. Donations are exempted from taxes. Furthermore, the State will support them in restoration of their religious constructions and items, as the part of the cultural heritage.

This model does not exclude the possibility of concluding the agreements with other confessions, but not in the form of the Constitutional Agreement. The organic Law determines conclusion of the Constitutional Agreement and the parties to the latter.

The presented model will facilitate the creation of the legal guarantees to the separation of the Church from the State and establishment of corporative relations between them.

# დამოწმებული ლიტერატურა


1. რ. თოფჩიშვილი, რელიგიური სიტუაცია საქართველოში. ზოგადისტორიული მიმოხილვა; კრ.: ქრისტიანობა საქართველოში. ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები; თბ., 2000 წ.

2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 1, თბ., 1964.

3. ავტორი ეყრდნობა სოციალური სფეროს რეფორმების ხელისშემწყობი განყოფილების მიერ მომზადებულ საინფორმაციო ანალიტიკურ ცნობარს.

4. Универсальные принципы религиозной свободы в США; Служба коммуникации ОВЦС МП, http://www.russian-ortodox-church.org.rull

5. Лев Левинсон, Региональное законодательство и религиозная свобода//Религия и право №1, 1997 г.

6. Алексей Юдин, Ватикан и революция: мифы и истина//Религия и право, №1, Москва, 2000.

7. Spenish Legislation on religious affairs; Edited by Alberto de la Nena and Rosa Maria Martinez de Codes; Madrid. 1998.

8. А.К. Свитич, Православная церковь в Польше и её автокефалия, http://formus%20Ong.%20ru//religion

9. Манфред Шникер, Христианство и свободное конституционное государство//Религия и право, №1, 2000.

10. Михаил Рябов, Ислам как социалъный феномен//Религия и право, №1, 2000.

11. Доклад о свободе религии в странах мира в 1999г.:Резюме, http: //www.usis uz/wwwrelr. Htm

12. Нина Янова, Белорусские протестанты боятся осуждать нарушения религиозной свободы//Народная Газета, № 74, апрель, 2000.

13. Йозеф Листл, Государство и Церковь в Западноцерковной латинской традиции христианства, Служба коммуникации ОВЦС МП, служба http://www.russian-ortodox-church.org.rull

14. Диакон Андрей Кураев, Техника религиозной безопасности, Служба коммуникации ОВЦС МП, служба http://www.russian-ortodox-church.org.rull

15. ჯ. ხეცურიანი, ეკლესიის სტატუსს – მყარი სამართლებრივი გარანტიები, გაზ.: კვირის პალიტრა, 26/II-4/III, 2001.

# კონსტიტუციური შეთანხმება

## საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

14 ოქტომბერი 2002 წ.

# კონსტიტუციური შეთანხმება
# საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

საქართველომ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში აღიდგინა ისტორიული ადგილი, როგორც დამოუკიდებელმა და დემოკრატიულმა სახელმწიფომ;

- საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. იგი მე-5 საუკუნიდან ავტოკეფალურია და მისი სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი და კათედრაა მცხეთა, საპატრიარქო კათედრებია, აგრეთვე, თბილისი და ბიჭვინთა;

- მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები;

- საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

- საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად

*საქართველოს სახელმწიფო (შემდგომში სახელმწიფო), წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტით და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (შემდგომში ეკლესია), წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქით, დებენ კონსტიტუციურ შეთანხმებას (შემდგომში შეთანხმება):*

მუხლი 1

1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროში, რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.

3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო

*(კანონიკური)* სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო *(ქორეპისკოპოსისა და მდიენის სახით)*, სოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.

5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.

6. როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

მუხლი 2

სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია, არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.

მუხლი 3

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

მუხლი 4

სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახლეობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები.

მუხლი 5

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, ჰედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

2.სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

მუხლი 6

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. ეკლესია თავის არასაღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

4. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.

5. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია - მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.

6. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.

მუხლი 7

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით.

მუხლი 8

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში *(მუზეუმებში, საცავებში)* მყოფ საეკლესიო საგანძურს *(კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა)*.

2. ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად *(წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიქვიების გარდა)*.

მუხლი 9

1. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანასმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საკანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს.

მუხლი 10

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნიეთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

მუხლი 11

1. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში *(კანსაკუთრებით 1921-90 წლებში)*, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე *(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 183; 12.04.90)*.

2. აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემისა და სხვა დეტალების დახადგენად პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კომისია *(ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში)*, რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს.

მუხლი 12

1. შეთანხმება შედგება წინამდებარე ტექსტისა და ტერმინთა განმარტებისაგან.

2. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით.

3. შეთანხმებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

4. შეთანხმება ძალაში შედის პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებისთანავე.

| | |
|---|---|
| საქართველოს სახელმწიფოს სახელით<br>საქართველოს პრეზიდენტი | საქართველოს სამოციქულო აუტოკეფალური<br>მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით |
| ე. შევარდნაძე | სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II |

სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარი
14 ოქტომბერი 2002 წ.

## ტერმინთა განმარტება

1. **სამოციქულო საყდარი** ეკლესია, რომელიც დაარსებულია ქრისტეს წმიდა მოციქულთა (ან მოციქულის) მიერ.

2. **მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია** - საეკლესიო კანონიკური ნორმით არსებულ ადგილობრივ (ავტოკეფალურ) მართლმადიდებელ ეკლესიათა სულიერი ერთობა, რაც ხორციელდება (გამოხატულია) საეკლესიო საიდუმლოებების ურთიერთცნობით და ეკლესიის მეთაურთა მიერ წირვა-ლოცვის დროს ურთიერთმოხსენიებით.

3. **აეტოკეფალია** - ადგილობრივი ეკლესიის სრული თვითმმართველობა; მმართველი ორგანოების არჩევისა და დანიშვნის, ასევე საეკლესიო ცხოვრების წარმართვის *(წმიდა მირონის კურთხევა, კანონიკური განჩინებების გამოცემა და სხვა)* დამოუკიდებლობა.

4. **საეკლესიო კრება** - მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება მღვდელმთავრებისაგან, სხვა სასულიერო პირთა დელეგატებისა და ერისკაცთა წარმომადგენლობისაგან.

5. **წმიდა სინოდი** - ადგილობრივი (საქართველოს) ეკლესიის მღვდელმთავართა კრება (კრებული), რომელიც იღებს ეკლესიის მართვა-გამგეობის შესახებ გადაწყვეტილებებს. წმიდა სინოდს ხელმძღვანელობს ეკლესიის მეთაური (კათოლიკოს-პატრიარქი).

6. **კათოლიკოს-პატრიარქი** - წმიდა სინოდის (საქართველოს ეკლესიის მმართველი და საკანონმდებლო ორგანოს) თავმჯდომარე და საპატრიარქოს ხელმძღვანელი.

7. **ქორეპისკოპოსი** - კათოლიკოს-პატრიარქის მოადგილე სასულიერო პირი, რომელიც განაგებს საეკლესიო ცხოვრების გარკვეულ სფეროს. ქორეპისკოპოსს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს კათოლიკოს-პატრიარქი.

8. **მდივანი** კათოლიკოს-პატრიარქის თანაშემწე, რომელიც ასრულებს კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო დავალებებს. მდივანთა რაოდენობას განსაზღვრავს კათოლიკოს-პატრიარქი.

9. **სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი** სადაც ტარდება ადგილობრივი გაფართოებული კრებები, იკურთხება წმიდა მირონი, ხდება კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევა და ახლადარჩეული მღვდელმთავრების ხელდასხმა; ამავე დროს იგი არის უძველესი და უპირველესი საპატრიარქო კათედრა.

10. **საპატრიარქო კათედრა** - უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქს დაქვემდებარებული ანუ სტავროპიგიალური ტერიტორია *(ქალაქი)*, სადაც არის კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია და საპატრიარქოს ან მისი რომელიმე სტრუქტურის ადგილსამყოფელი.

11. **საპატრიარქო** - კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით დადგენილ საეკლესიო განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ერთეულთა ერთობლიობა.

12. **საეკლესიო (კანონიკური) სამართალი** - მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებისა და წესებისა ერთობლიობა *(ეს გულისხმობს მოციქულთა კანონებს, მსოფლიო და ადგილობრივი კრებებისა და წმიდა მამების დადგენილებებს)*; ხოლო საქართველოს ეკლესიისთვის - ასევე ადგილობრივი ეკლესიის კრებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საქართველოს ეკლესიის დღეს მოქმედი მართვა-გამგეობის წესდება (დებულება), საქართველოს საეკლესიო კრების, წმიდა სინოდის

და კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გამოცემული განჩინებები და სხვა *(საეკლესიო)* სამართლებრივი აქტები.

13. **აღსარება და საეკლესიო საიდუმლოება** - სინანულის საიდუმლო, დაწესებული თვით იესო ქრისტეს მიერ. იგია სულიერი განწმენდის მიზნით უფლის წინაშე მოძღვართან ნებაყოფლობითი აღიარება ცოდვისა, რომლის სხვასთან თქმის უფლება სასულიერო პირს არა აქვს.

14. **საეკლესიო საიდუმლოება** - ეკლესიის კონფიდენციალური ინფორმაცია.

15. **სასულიერო პირი** - მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური წესით ხელდასხმული (ნაკურთხი) პიროვნება (მონაზონი, დიაკონი, მღვდელი, episkოპოსი), რომელიც ამ მაღლს ინარჩუნებს, თუ არ მოხდა მისი განკვეთა episkოპოსის ან წმიდა სინოდის დადგენილებით.

16. **სულიერი მოძღვარი** - მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი, რომელიც ამა თუ იმ ადამიანისაგან იბარებს აღსარებას და წარმართავს მის სულიერ ცხოვრებას.

17. **ჯვრისწერა** საეკლესიო საიდუმლოებათაგან ერთ-ერთი, რომლის აღსრულების შემდეგ, საეკლესიო სწავლებით, ახლადდაქორწინებულთა ოჯახი ხდება კანონიერი.

18. **ღვთისმეტყველება** საეკლესიო და სასულიერო-საგანმანათლებლო სწავლება ღმერთის შესახებ.

19. **მონასტერი** - episkოპოსის კურთხევით დაარსებული ბერ-მონაზონთა სავანე, რომელიც episkოპოსის მიერ დადგენილი ტიპიკონით (ცხოვრების წესი) ხელმძღვანელობს.

20. **საეკლესიო საგანძური** - საღვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების სიწმიდეები (ფერწერული, ჭედური, მინანქრის ხატი და ჯვარი; სანაწილე, პანაღია, ბარძიმ-ფეშხუმი, გარდამოხსნა), რომელთაც აქვთ ისტორიული მნიშვნელობა და მაღალმხატვრული ღირსება.

21. **წმიდა ნაწილები** - მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმიდანად შერაცხილ მოწამეთა და მოღვაწეთა სხეულის ნაწილები.

22. **წმიდა რელიკვია** - მაცხოვრის, ღმერთისმშობლისა და წმიდანთა ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები და ნივთები.

23. **საეკლესიო ნივთი** საღვთისმსახურო და სულიერი დანიშნულების საგნები.

24. **ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგია** - ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიაა შემდეგი სიტყვები: „საქართველოს სამოციქულო"; „აუტოკეფალური"; „მართლმადიდებელი"; „კათოლიკოს-პატრიარქი"; „წმიდა სინოდი".

25. **საღვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქცია** - ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი *(კათოლიკოს-პატრიარქის ან მღვდელმთავრის რეზიდენციები, სასულიერო სასწავლებლები)*, — მათი პროექტირება, არქეოლოგია, მშენებლობა, რესტავრაცია-კონსერვაცია; საეკლესიო მხატვრობა; საეკლესიო-საღვთისმსახურო ნივთები *(ბარძიმ-ფეშხუმი, ლაბავარი, სანაწილე, ოლიკი, გარდამოხსნა, ემბაზი, ანაღოლია, შანდალი, ტაკუკი, ეპარსკვლავი, საკვეთლური, სასაკმეველე, კოლტი, საეკლესიო ნახშირი, სკვნილი, კვერთხი, პანაღია, სუდარა, სანთლავი, კვართი, სარტყელი, საეკლესიო სამშვენისი, ნაკურთხი წყლის, ღვინის, მიწის, ზეთისა და მირონის ჭურჭელი)*; ხატი, ჯვარი, საეკლესიო სანთელი, საღვთისმსახურო *(სარიტუალო)*

ღვინო, საკმეველი, საკანდელე ზეთი, წმიდა წყალი, სუფისკერი *(სარიტუალო ჭური)*; სასულიერო პირის შესამოსელი; მომლოცველობა; საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო და სასულიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე ამ დანიშნულების ტელე-კინო-ვიდეო-აუდიო და რადიო პროდუქცია.

26. **საღვთისმსახურო ძონება** ტაძრები, მონასტრები, საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი, წმიდა ნაწილები, წმიდა რელიკვიები, საეკლესიო ნივთები.

27. **ეკლესიის ოფიციალური სიმბოლიკა** მოცემულია ეკლესიის მართვა-გაგეობის წესდებაში;

28. **დიდი საეკლესიო დღესასწაულები:**

- წმიდა ნინოს ხსენების დღე (27 იანვარი);
- მირქმა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (15 თებერვალი);
- ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა (7 აპრილი);

  სააღდგომო დღეები - დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომის კვირადღე (გარდამავალია);
- ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (გარდამავალია);
- საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე (12 მაისი);
- ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (19 აგვისტო);
- შობა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (21 სექტემბერი);
- მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვრისა (27 სექტემბერი);
- ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (4 დეკემბერი).

*რედაქტორი:* ბ. კოჭლამაზაშვილი

*კორექტორები:* მ. რამიშვილი
მ. კიკვიძე
ნ. ნოზაძე

*კომპიუტერული*
*უზრუნველყოფა:* ლ. ბარბაქაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 04. 2003 წ.
ქაღალდი ოფსეტური. ბეჭდვა ოფსეტური.
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
საგამომცემლო-სასტამბო თაბახი 12,5
შეკვეთა №17
ტირაჟი 500

შპს „ფორმა"
თბილისი, თაბუკაშვილის ქ., №27

Мариам Цаканашвили

# ГОСУДАРСТВО И РЕЛИГИЯ

ВТОРОЕ ИЗДАНИЕ

(на грузинском языке)

Издательство "ТЕХИНФОРМ"
Тбилиси
2003

# შენიშვნები